

ნაზი ხანიაშვილი

ორმართული ქრისტიანობის

კვალი

საქართველოში



ნაზი სანიაზვილი

ჭარმართული ქრისტიანობის  
კვალი  
საქართველო

„უახლოეს მომავალში შავი ზღვის  
სანაპიროზე გაიხსნება ცოდნა ქრისტეს  
ნამდვილი სწავლების შესახებ“.

საქართველოს მთავრობის  
მინისტრი

თბილისი 2020

წიგნში „წარმართული ქრისტიანობის კვალი საქართველოში“ წარმოდგენილია ბოლო წლებში სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რამოდენიმე სტატია, რომელიც ეხება საქართველოში წარმართულ ქრისტიანობას სამყაროს შექმნიდან დღემდე, ქართველი ერის ქრისტიანულ მისიას საქართველოს და კაცობრიობის წინაშე.

ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი სისხლით და გენით ქართულ — იბერული მოდგმის ხალხი, რომელთა სხეულებშიც ცხოვრობენ ქართველთა ღვთისშვილები და მათ შორის კვირია — ქრისტე, არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ქართველი ერი გადაურჩა დედამიწაზე დროის მდინარების ათასნაირ ორომტრიალს და დღემდე მოვიდა.

წიგნში განხილული საკითხები ეფუძნება „კაბალას“ — პირველ ადამიანთა კოსმოგონიურ ცოდნას სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება და ათასწლეულების წინ გატანილია საქართველოდან. ბიბლიური კაბალას ცოდნა კვლავ თავის სამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.

ქრისტიანობა — მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგია.

ნაზი ხანიაშვილი

ISBN 978-9941-8-2309-1

© ნაზი ხანიაშვილი. თბილისი 2020

ყდაზე გამოსახულია ყაჩაღანის ჯვრის ფრაგმენტი — ე.წ. „კოპტური ჯვარი“.

## ბიბლიის „ძველი აღთქმის“ ეპთული გენეტიკური საფყისები

საზოგადოების დიდ ინტერესს ჟოველთვის იწვევდა ქართულ და შუმერულ მითოლოგიასა და ეთნოგრაფიულ უძველეს რწმენა-წარმოდგენებში ებრაელთა „ძველი აღთქმის“ პარალელები სამყაროს შექმნის, ბაბელონის გოდოლის და წარლენის შესახებ.

ებრაელთა ბიბლიის „ძველი აღთქმის“ მიხედვით, ღმერთმა პირველად ცა და მიწა შექმნა, რომელზედაც უკვე იყო წყალი. შემდეგ შექმნა ნათელი და გაპყარა ნათელი და ბნელი. დადგა დილა – პირველი დღე; შექმნა ღმერთმა მყარი წყალთა შორის,... მყარს ღმერთმა უწოდა ცა; მეორე დღეს შეაგროვა ღმერთმა წყალი და გამოჩნდა მიწა, რომელზედაც აღმოაცენა მცენარეთა საფარი; მესამე დღეს შექმნა შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები; მეორე დღეს შექმნა წყლის სულდგმულები და ფრინველები; მესუთე დღეს შექმნა ცხოველთა სამყარო, მეექსე დღეს შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, დედაკაცად და მამაკაცად შექმნა ისინი. მეშვიდე დღეს ღმერთმა დაისვენა ფოველი საქმისგან, რაც გააკეთა.

ბიბლიის „ძველი აღთქმა“ სამყაროს შექმნაზე არის სემიტური რასის ხალხთა რწმენა-წარმოდგენები ღმერთის მიერ სამყაროს ექვს დღეში შექმნის შესახებ. ისინი თვლიან, რომ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი არის სემიტური რასის წარმომავლობის ხალხი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათი აზრით, სამყარო სულ რაღაც 5700 წლის წინ შეიქმნა, რაც სრულდიად არარეალურია, ვინაიდან მეცნიერთა კვლევებით სამყარო ათობით მიღლიარდი წლის წინ შეიქმნა. ჩემი კვლევებით, ებრაელთა რწმენა-წარმოდგენები სამყაროს შექმნაზე ეხება მხოლოდ სამყაროს შემოქმედ ღმერთთან დაპირისპირებული სემიტური რასის ადამიანის სამყაროს შექმნას.

შუმერთა რწმენა-წარმოდგენებით, პირველად ფოფილა პირველქმნილი ოკეანე, რომელმაც წარმოშვა კოსმიური მთა, რომელიც მოიცავდა ცისა და მიწის ერთობას, სადაც ცხოვრობდნენ ღმერთები. ცისა და მიწის გაყოფის შემდეგ „ან“ ცის ღმერთმა წაიღო ცა, ხოლო „კი“

მიწის ქალღმერთმა წაიღო მიწა. ასე შეიქმნა ზესკნელი და ქვესკნელი. ცისა და მიწის ღმერთებმა შექმნეს ჰაერის ღმერთი ენლილი, რომელ-მაც დაიყავა სივრცე ცასა და მიწას შორის და წამოიქმნა შუასკნელი (ს. ნ. კრამერი – ისტორია იწყება შუმერიდან, 1988 წ.).

თუ შევადარებთ ერთმანეთს შუმერთა და სემიტური რასის ხალხ-თა წარმოდგენებს სამდაროს შექმნის შესახებ, ისინი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. შუმერები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ, თუ როგორ წარმოიშვა სამდარო და როგორ იყო იგი მოწყობილი. ჩვემი კვლევებით, ებრაელებისგან განსხვავდებით, შუმერული მითოლოგია სამდაროს შემოქმედი ღმერთის თაფვანისმცემელი და მორწმუნე ადამიანთა სამდაროს შექმნას წარმოაჩენს. საოცრად დაიდი სიღრმეებით აქვთ წარმოდგენილი თავის მსგავსად და ხატად შექმნილი ადამიანის, როგორც სამდაროს შექმნის გენეტიკული კოდი – წინასწარდასახული გეგმა-პროექტი, რომელსაც „მე“-ს ხვთაებრივი კანონები უწოდეს და რომელიც არის შუმერული კაბალა.

პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთის მსგავსად და ხატად შექმნილი ადამიანის მრავალგანზომილებიანი სამდაროს შესახებ დღემდება მოსული ბიბლიური კაბალას – ტაროს არკანების, ჩინელთა „იძინის“, ევროპელთა რუნებისა და შუმერთა „მე“-ს ხვთაებრივი კანონების სახით, სადაც განიხილება სამდაროს დროში ცვალებადობის კოსმიური პროცესი. კაბალას ცოდნა მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. აქედან გამომდინარე, ქართული ანბანი სამდაროს გენეტიკური კოდია. კაბალას ცოდნა აღმოსავლეთ საქართველოდან გაიტანეს და მას თავისი სამშობლო ადგილის სახელი შეუნარჩუნეს – აღმოსავლეთ საქართველოს ოდითგანვე კაბალა ერქვა. კაბალას ცოდნა ქართული წარმომავლობის რომ არ იყოს, ის მხოლოდ ქართულ ანბანში არ აისახებოდა. ქართული ანბანი კი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა.

სამდაროს პირველ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ღმერთმა სამდარო ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით შექმნა. მათ ღმერთების ფუნქციას ანიჭებდნენ და რიცხვებით გამოსახავდნენ. შუმერთა ღმერთებს ღლემდე შენარჩუნებული აქვთ ანბანში ქართული ასო-ნიშნების გვერ-

დით მიწერილი ციფრების სახელები. მათ მითოლოგიაში „ან“ ცის უზენაესი ღმერთია, სიტყვა „ღმერთი“ ციფრი „ერთის“ და „ერთ-ართის“ გამოშეატველია. კაბალაში სამდაროს ცვალებადობის 78 საიდუმლო კოსმიური პროცესი წარმოჩნდება და ყველას თავისი სახელი აქვს. კაბალას პირველი არკანის სახელია „ადამიანი“. ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელი „ან“-ი მხოლოდ ქართულ ანბანშია. ეს ერთ-ერთი მინიშნებაა იმისა, რომ ბიბლიური კაბალას ცოდნა ქართულია. ადამის ცივილიზაციას ეს სახელი ქართული სიტყვა „ადამიანი“-დან დაერქება და ქართველებმა სწორედ „ან“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდის დასაწყისიდან – 8000 წლის წინ დაიწყეს „ქართ ადამს აქათ“ წელთაღრიცხვის ათველა. ამასთანაა დაკავშირებული სიტყვები „ქართლი“, „ქართველი“ და „საქართველო“, რომელიც ქართული სიტყვა „გულ-ქართლი“ „გულმართალი“-დან წამოსდგება. სწორედ „ან“ ცის ღმერთია ქართული გენის მატარებელი, რომელმაც ბოლო ჟამს ქართულ ენაზე სიმართლით უნდა გაასამართლოს ქვეფანა. ქართველებს ასევე პჟონდათ მეორე წელთაღრიცხვა – „დასაბამითგან“ ანუ „წარღვნიდან“, რომელიც 7600 წლის წინ დაიწყეს. ორივე წელთაღრიცხვა XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა, რომელიც ასახულია უძველეს ქართულ ხელნაწერებსა და ისტორიულ ძეგლებზე. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ 8000 წლის წინ ქართველები მხოლოდ ფურძენს კიარ ვწურავდით და ღვინოს ვაკენებდით, არამედ ვიყავით მაღალცივილიზებული ერი, გვქონდა უნიკალური ანბანი და მის თითოეულ ასო-ნიშანს ღმერთის ფუნქციას ვანიჭებდით. წელთაღრიცხვა, რომელიც დღეს დედამიწაზე საზოგადოებაში არის მოქმედებაში, ქართულ ანბანში ასახულ მეტაფიზიკური დროის ცვალებადობას წარმოაჩენს. ჩვენი მრავალგანზომილებაანი მეტაფიზიკური სამდაროს ყოველი კოსმიური საიდუმლო ქართულ ენასა და ქართულ ანბანშია ჩადებული.

ქართველთა ცოდნა, ადამიანის სამდაროს ექვს დღეში შექმნის შესახებ, ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკურ კოდში აისახება. დღეს მეცნიერებისთვის უკვე ცნობილია ადამიანის გენეტიკური განვითარების საკითხი: პირველ დღეს ადგილი აქვს ე.წ. დიდი აფეთქების ანუ კვერცხუჯრედის განაყოფიერების პროცესს, რომელიც

სამ დღეს გრძელდება, შემღებ ექვს დღეში წარმოიქმნება ორგანიზმის მთავარი სასიცოცხლო ღეროვანი უჯრედები, ხოლო მეტვიდე დღეს ანუ საწყისიდან მეათე დღეს ფეხლაფერი ეს იწყებს ერთგვარ პულსაციას. მეცნიერთა აზრით, ადამიანის ჩანასახის გულს 10-ე დღეს უკვე აქვს პულსაცია. ბიბლიური კაბალას ცოდნით, 10-ე დღის კოსმიურ პროცესს ეწოდება „ბედის ბორბალი“ ანუ ათ დღეში იქმნება ადამიანის ბედისწერის ანუ გენეტიკური კოდის ხეთიური გეგმა, რომლის მიხედვითაც ვითარდება ადამიანის სამყარო და ამ კოსმიურ მომენტს ქართულ ანბანში შეესაბამება „0-06-10“ ასო-ნიშანი. ადამიანის გენეტიკური პროცესის კაბალას ცოდნა დროის ფარდობითობით შეიძლება გაანალიზდეს ადამის ცივილიზაციის ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროსთვის, რომელიც შექმნილია ოთხი საწყისი ელემენტისგან – მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი.

ზემოთ განხილულის მიხედვით, სამყაროს ექვს დღეში შექმნის ბიბლიურ ცოდნას, რომელიც ფეხლაზე დიდი სიღრმით კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკურ კოსმიური ცვალებადობის პროცესში აისახება და წარმოაჩენს ღმერთის სატად და შეგავსად შექმნილი ადამიანის სამყაროს შექმნას, ქართული ფესვები აქვს.

შემერთა და ხეთების მითოლოგიით, დედამიწაზე პირველად ღმერთები ცხოვრობდნენ. ისინი გარეგნობით, აზროვნებით და საქციოელით ადამიანებს ჰეგვანდნენ: ადგენდნენ მოქმედების გეგმას, ჭამდნენ, სვამდნენ, ქორწინდებოდნენ და ოჯახს ქმნიდნენ, დიდი მეურნეობები ჰქონდათ და არც ადამიანური სისუსტე და სატკივარი იყო მათთვის უცხო; სიცრუეზე მაღლა სამართლიანობას აენებდნენ. იმ პერიოდისთვის „ქსოვილის ღმერთი ჯერ არ დაბადებულიყო, მბრძაბებელი სუმუკანი – ცხოველთა ნადირთ ბატონი ჯერ არ დაბადებულიყო“, ანუ დედამიწაზე მხოლოდ ღმერთები ცხოვრობდნენ და სხვა ჯერ არაფერი იყო შექმნილი და ჩვენი მეტაფიზიკური განხომილების მატერია-სხეული ჯერ არ არსებობდა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე ურთიერთდა-პირისპირებული ძალები ანუ ბოროტება არ არსებობდა.

ამ კოსმოგონიურ პერიოდს შემერთის მითოლოგია ასე ახასიათებს: ჯერ კიდევ არ იყო ლომი, მგელი, ძალი, აფთარი, მორიელი. შიში

არ იყო, ძრწოლა არ იყო. კაცთა მოღვაწეს მტერი არ ჰყავდა. შუმერის მსარე ტებილმეტეფელი, დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა, მთელი სამ-დარო, მორჩილი ხალხი უზენაეს ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა. ამავე მითებით „დიდებულ წესთა ქვეყანა“ „არათა“-ს სახელით მოიხსენიება, რომელიც შუმერიდან ჩრდილოეთით შეიძი მთაგრეხილის იქთ მდე-ბარეობდა. შემდეგ ღმერთების ნაწილი ცაში ავიდა, ნაწილი კი დედამი-წაზე დარჩა, იქორწინეს მიწიერ ქალებზე და ამის შედეგად გაჩნდნენ ადამიანის მსგავსი ნახევარლმერთები,

ჩემი კვლევებით ადამიანთა, როგორც პირველი, ისე მეორე ცივი-ლიზაცია აქ კავკასიაში – საქართველოში არათას – რანთა და არან-თა ქვეყანაში წარმოიქმნა, რომელიც არის „წმინდა წესების“ – შუმ-ერთა „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“-ს ქვეყანა. „წმინდა წესები“ ანუ „ხვთაებრივი კანონები“ არის ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის შექმნის და ვანვითარების კოსმოგონიური ცვალებადო-ბის წინასწარ შექმნილი ხვთიური გეგმა, რომელიც დღემდე კაბალას სახელით არის ჩვენამდე მოღწეული. ბიბლიური კაბალას ცოდნა თავ-ის მეტაფიზიკური სიღრმეებით მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. მასშია სამყაროს წარსული, აწმეო და მომავალი. ქართველების სისხლი შეიცავს ბიბლიური კაბა-ლას კოდირებულ ინფორმაციას, რომლის დნმ-ის სპირალებში ქართუ-ლი ანბანია ჩაწერილი. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე გვირგვინად ადგას, იგი არის ასევე კოსმიური მხედარი და მხედრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია.

მაშასადამე, შუმერთა რწმენა-წარმოდგენებით, რომელთა წინაპრე-ბი ქართველები არიან, პირველად დედამიწაზე ღმერთები ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ ადამიანები, რომლებიც იყვნენ ნახევარლმერთები. (ნ. ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.). ეს იყო ადამის ცივილიზაციის ორი კოსმიური პერიოდი, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ბოროტება და ადამიანთა დაპირისპირება.

ებრაელთა ბიბლიის „ძველი აღთქმის“ მიხედვით კი ადამი და ევა პირველსაწყისშივე ცოდვიანები არიან, მათი შეილი კაენიც ძმის მკვლე-ლია, მათი შთამომავალია იზრაელთა მოღვაწის ერთ-ერთი პატრიარქი

თაკობი, რომელიც შეეძროლა და დაპირისპირდა სამფაროს შემოქმედ ღმერთს, რის გამოც სემიტური მოდგმის ხალხს ღმერთმა „იზრაელი“ – „ღმერთთან დაპირისპირებული“ უწოდა. მათი ღმერთი არის კალი-ღვევი, გამოსახავენ სისხლიან ენაგადოვდებულს, გულშე ჰქიდია ადამიანთა თავის ქალებისგან ასხმული მძივი, საიდანაც მოდის ქალდეველთა სახელი. ეს გველაფერი ცალსახად წინააღმდევობაში მოდის ბიბლიასთან, როცა ამბობენ ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსადო. შემოქმედი ღმერთი არ შექმნიდა მასთან დაპირისპირებულ ადამიანთა მოდგმას, რომელიც თავვანს სცემდა არა მას, არამედ ქალდევს. ღმერთთან დაპირისპირებულები ქართულ მითოლოგიაში არიან ქაჯები, ჭინკები და ღევები. მათ მუდმივად ებრძვიან ქართველთა ხეთისშვილები, რომლებიც არიან მარადიულნი და უკვდავნი. ქართული მითებით ღევები, ჭინკები და ქაჯები მოგვიანებით ადამიანთა სახეს იღებენ და ახლა ღედამიწაზე ებრძვიან ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთა მოდგმის ხალხს. მაპმადიანნი მათ პური-ურიად მოიხსენიებენ (სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, 1993 წ., II ტ., გვ. 165 – „პაერის მცველი“).

ღმერთთან დაპირისპირებულ ადამიანებს მეორე „მე“ ანუ კოსმიური ჩრდილი არა აქვთ და მხოლოდ ადამის ცივილიზაციის III და IV მიკროციკლისთვის დამახასიათებელი ადამიანის სახით მოსული არსებები არიან. მათ სხვა განზომილებებში მოგზაურობისთვის მეორე „მე“-ს სხეული არ გააჩნიათ (ზ. აბზანიძე – სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, 2007 წ., II ტ., გვ. 16 – „ჩრდილი“). ამ საკითხთან დაკავშირებით შოთა რუსთაველი ამბობს: „ჭირთა უამი ერთხელია“ – ო ეს კი ნიშნავს, რომ ღმერთთან დაპირისპირებული არსებები მხოლოდ ჩვენი განზომილების ძალიან მცირე დროისთვის არიან შექმნილები. ქართველები და საქართველო კი გენეტიკურად „მრავალ-უამი“ ერია.

ებრაელთა ბიბლიაში ასახული სამფაროს ექვს ღღეში შექმნის კოსმიური პროცესი არ შეესაბამება ბიბლიური კაბალას გენეტიკურ კოდში მიმდინარე კოსმიურ პროცესს. სემიტური მოდგმის ხალხი ძირითადაც იყვნენ მომთაბარე ტომები, რომლებსაც არ ჰქონდათ სამშობლო, ერთი ენა, დამწერლობა, ერთმანეთთან ინფორმაციული კონტაქტი.

აშეარაა, რომ სადაც ჩადიოდნენ, იმ ხალხის ისტორიას, მითოლოგიას და ეთნოგრაფიულ წეს-ჩვეულებებს ითვისებდნენ. ამიტომ წარმოუდგენლად დაუჯვერებელია „ძველ აღთქმაში“ მოყვანილი ისტორიულ პიროვნებათა ჩამონათვალი აღამიდან ბიბლიის შექმნამდე, რომლის ფველაზე ძველი ხელნაწერები ახ.წ. IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება. როგორც კელეგებიდან ჩანს, მათი წარმომავლობა ინდურია და ფველა სემიტური ენა სანსკრიტული ენის საფუძველზეა შექმნილი ძვ. წ. X ს-ში, ხოლო მათი დამწერლობა-დევანაგარი, რომელიც სიტვი „დევს“ უკავშირდება, შექმნილია ახ. წ. II საუკუნეში (ქ. ს. ე. 1985 წ., ტ. 9, გვ. 85 – „სანსკრიტი“), რასაც ქართულ ენასთან და ქართულ ანბანთან არაფერიაქვს საერთო.

მეტად საინტერესოა ქართველთა და შუმერთა მითოლოგიაში და ფოლკლორში „ბაბელონის გოდოლის“ და „წარლვნის“ თემა და მისი პარალელები ებრაელთა ბიბლიის ძველ აღთქმასთან.

ებრაელთა ბიბლიის მიხედვით, ჯერ მოხდა „წარლვნა“, ხოლო შემდეგ, მოგვიანებით მოხდა ბაბელონის გოდოლის – კოშკის „დანგრევა“. მაშინ, როცა ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდით და შუმერთა მითოლოგიით პირიქით – ჯერ ხდება ბაბელონის გოდოლის – კოშკის დანგრევა, ხოლო შემდეგ წარლვნა.

სიტვი „ნოე“ ებრაელებს აღებული აქვთ აფრიკელთა სუდანის დაგონების ხალხის მითოლოგიიდან, სადაც ის „ნომმო“-ს სახელით მოიხსენიება. ებრაელები განიხილავენ ნოეს კიდობანს, რომელშიც არიან ნოე და მისი ცოლი, მისი სამი შვილი – სემი, ქამი და იაფეტი თავიანთი ცოლებით ანუ ოთხი ქალი და ოთხი კაცი, მათ შვილები არ ჰყავთ.

სუდანის მითოლოგიაშიც კიდობანში ზის ოთხი ნომმო, რომელთაც ასევე ჰყავთ ოთხი მდედრული ცალი. ისინი არ განიხილებიან დედად, მამად და შვილებად. ფველას თავისი სახელი აქვს. ერთ-ერთ მათგანს უწოდებენ „ო“ ნომმოს. ხდება მისი მსხვერპლად შეწირვა, რათა მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ სამყარომ დაიბრუნოს დროისა და სიერცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა ისევ დაიწყონ მოძრაობა ე.ი. სამყარო ხელახლა დაიბადება ანუ გაცოცხ-

ლდება. ნომმოს კიდობანი მთლიანად ცოცხალი სამდაროს სიმბოლოა („На супе и на море“, 1978 გ. ცტრ. 411). დაგონების მითოლოგიაში წარმოჩენილი „ო“ ნომმოს კოსმიური მისადაც ბედისწერა ერთგვარად უფალ იქსო ქრისტეს მსგავსია.

თუ შევადარებთ ებრაელთა და სუდანის ოწმენა-წარმოდგენებს წარლვნის შესახებ, ნათელია, რომ „ო“ ნომმოს შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი ებრაელებს, ხოლო სუდანის მითებიდან ჩანს, რომ „ო“ ნომმო არსებობდა წარლვნამდე, რომელიც იყო მსხვერპლად შეწირული სამდაროს გადარჩენის მიზნით. ამავდროულად, ქართული ანბანის კაბალას მიხედვით 16-ო-ონ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდია ბაბელონის კოშკი-გოდოლი, ხოლო ქართველები ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ. ცხადია, რომ ებრაელებს არაფერი აქვთ ნათქვამი „ო“ – შეწირული უფლის და მისი აღდგომის შესახებ და მათთვის ბიბლიური კაბალას ცოდნის ეს საკითხი უცნობია. ე.ი. მითოლოგიური ქართულ-შუმერული ამბავი წარლვნის შესახებ მათვის უცნობია, ვინაიდან ბიბლიის „ძველი აღთქმის“ მიხედვით ჯერ წარლვნა ხდება და შეძლევ ბაბელონის გოდოლის – კოშკის დანგრევა, სადაც არ ჩანს წარლვნის მიშანი და შეწირული „ო“ ნომმოს – უფლის აღდგომის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, ვინაიდან „ძველი აღთქმის“ წარლვნის დროს „ო“ ნომმოს ბაბელონის გოდოლი ანუ სამდაროს გადასარჩენად შეწირული ღმერთკაცი ჯერ არ არსებობდა.

ქართულ-შუმერულ მითოლოგიაში ბაბელონის გოდოლის – კოშკის და წარლვნის საკითხი სულ სხვაგვარადაა წარმოჩენილი, ვიღრე ებრაელთა ბიბლიის „ძველ აღთქმაში“.

ბიბლიური კაბალას – ქართული ანბანის გენეტიკური კოდის მიხედვით, ბაბელონის გოდოლი არის ქართული ანბანის 16-ო-ონ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, აქედან წარმოსდგება სიტყვა „ბაბ-ელ-ონი“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველები ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ. მაშასადამე, ქართველებისთვის „ო“ ასო-ნიშნის გამოსახულება უფალს და ბაბელონის გოდოლს ნიშნავს. შემთხვევითი არ არის, რომ შოთა რუსთაველმა „ვეფხის ტფაოსნის“ თითოეული სტრიქონი 16 მარცვლიანი დაწერა და

პოემა მთლიანად უფლის ხეთიური ენერგიით შეამკო.

შუმერის მითოლოგიაში სიტყვა ბაბელონის გოდოლი საერთოდ არ არის ნახსენები. მაგრამ შუმერთა „მე“-ს ხეთაებრივ კანონებში 16-ე კანონი არის „ქვესკნელის სამეფოში შთასვლა“, რაც სულის წინასწარ გამზადებულ ჰურჭელში ჩასვლას ნიშნავს, რაც ემთხვევა ქართული



არკანი №16 – ბაბელონის გოდოლი



არკანი №22 – ნოეს კიდობანი

ანბანის 16-ო-ონ ასო-ნიშნის კოსმიურობას. სწორედ ეს კოსმიური მდგრამარეობა არის ბაბელონის გოდოლი. თუ ამ საკითხს კოსმიური თვალსაწიერიდან განვიხილავთ, ეს ემთხვევა სუდანის ხალხთა შეწირული „ო“ ნომმოს აღდგომის პროცესს. იგივე საკითხს ეხება შუმერთა და ქართველთა წარლვნის თემა. შუმერთა „მე“-ს ხეთაებრივი კანონების 22-ე კანონი არის „წარლვნა“. ეს საკითხი გავაანალიზოთ ქართულ ანბანში, სადაც 22-ე არის „ჟ-ჟნ“ ასო-ნიშანი, ამას უკავშირდება წარლვნის შემდეგ შუმერთა ზიუსუდრას აყვანა „დილმ-ჟნ“-ში

ე.ი. ქართული ანბანის 22-ე ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი, აქ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, არის „წარღვნა“, იგივე ქართველთა „დასაბამი“ საიდანაც ქართველებმა 7600 წლის წინ დაიწყეს „დასაბამითგან“ ანუ „წარღვნიდან“ წელთაღრიცხვის ათველა.

ეველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კაბალას ცოდნაში სამდაროს ოთხი საწყისით (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შექმნილი ბაბელონის გოდოლი იგივე წარღვნის კიდობანია, სადაც კაცთა მოდგმის თესლი იქნა შენახული, რომელიც წარღვნას გადაურჩა და ეს საკითხი ზედმიწევნით ზუსტადა ქართულ ანბანში ასახული – ქართული ანბანის 22-ე ასო-ნიშანი ასომთავრულ ანბანში ორი ასო-ნიშნით გამოისახება, სადაც ერთი არის ქართული ანბანის „ო“ ასო-ნიშანი – იგივე „ბაბელონის გოდოლი“, ხოლო მეორე – „ვიე“ ასო-ნიშანი, რომელიც განთავსებულია 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის, არის მეორე – კაბალას ნულოვანი არკანი, რომელსაც რიცხვითი მნიშვნელობა არა აქვს, ანუ მისი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა არის ნული, რაც იგივე პირველსაწყისს – „თესლს“ ნიშნავს.

ქართველი მეცნიერები არაერთხელ აღნიშნავდნენ, რომ სხვა ხალხებისგან განსხვავებით ქართველებს რიცხვთა დასაწყისში ნული არა აქვთო. როგორც დავრწმუნდით, ქართველებს ნული, კაბალას ცოდნით, 21 და 22 ასო-ნიშნებს შორის „ვიე“ ასო-ნიშნის სახით უმცროს არკანთა ჯგუფის დასაწყისში გვაქვს, რაც სამდაროს გენეტიკური კოსმიური პროცესისთვის დრმად მეტაფიზიკური კოსმიური პროცესის გამომსატველია. ზემოთ წარმოჩენილი საკითხი აისახება შუმერთა მითოლოგიაში, სადაც შუმერთა წარღვნის გმირის სახელი ზიუსუდრა ნიშნავს „მარადიული სიცოცხლისკენ მავალს“, ზიუსუდრა“ არის „შემნახველი სულდგმულთა და კაცთა თესლისა“, ღმერთებმა გააუკვდავს და მარადიული ხეთიური სუნთქვა შთაბერეს, რათა იხსნას ადამიანთა მოდგმა.

შუმერული მითების მიხედვით წარღვნა გრძელდებოდა 7 დღე და ღამე, ხოლო ებრაელთა ძველი აღთქმის მიხედვით – 40 დღე.

ზემოთ განხილულიდან აშკარაა, რომ „ბაბელონის გოდოლის“ და „წარღვნის“ საკითხების შემეცნებისთვის აუცილებელია ერთად განვიხილოთ ქართველთა და შუმერთა კოსმოგონიური მითოლოგიური

ცოდნა.

ქართველებმა იცოდნენ როდის დაიწყო ადამის ცივილიზაციის IV ციკლი, როდის იყო ბაბელონის გოდოლის კოსმიური პერიოდი და როდის მოხდა წარლვნა. ბიბლიური კაბალას გენეტიკური ცოდნის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ: ადამის ცივილიზაციის IV ციკლი დაიწყო 8000 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 6000 წელს. ბაბელონის გოდოლის – კოშკის კოსმიური პერიოდი იყო 7930 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 5930 წელს. წარლვნა მოხდა 7600 წლის წინ, ანუ ძვ. წ. 5600 წელს. მაშინ, როცა ებრაელთა რწმენა-წარმოდგენებით სამაყრო სულ რაღაც 5700 წლის წინ შეიქმნა.

ბიბლიური კაბალას ცოდნაში – ქართული ანბანის გენეტიკურ კოდში ასახული სამფაროს შექმნის, ბაბელონის გოდოლის და წარლვნის კოსმიური პროცესი ასახავს ადამიანის სამფაროს განვითარების ხეთიური გენეტიკური გეგმის კოსმიურ პროცესს, რაც საოცარი მეტაფიზიკური სიღრმეებითაა წარმოჩენილი ქართულ-შუმერულ მითოლოგიაში.

ბიბლიის „ძველი აღთქმის“ ქართულ გენეტიკურ საწყისებს არაერთი ქართველი მეცნიერარი იკვლევს და მეტად საინტერესო მიგნებები აქვთ (ლელა გაბური – „ძველი აღთქმა და ხევსურთა წეს-ჩვეულებანი“, 2008 წ.; „მხატვრული აზროვნების ტრანსფორმაციის ფორმები ქართულ ფოლკლორში“, 2016 წ., გვ. 370, ეთერ ინწკირველი – „ბიბლიური მოტივები ქართულ ფოლკლორში“; კობა არაბულის პუბლიკაციები ქართველ მთის ხალხთა ანდრეზული ცოდნის შესახებ).

ზემოთ განხილული საკითხების მიხედვით ადამის ცივილიზაციის ოთხი კოსმიური პერიოდი განიხილება:

1. დედამიწაზე დმურთები ცხოვრობდნენ;
2. დედამიწაზე ნახევარდმერთები – ხეთისშევილები ცხოვრობდნენ, რომლებიც არიან მარადიულნი და უკვდავნი. ეს იყო ბაბელონის გოდოლის დანგრევამდე, როცა ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა;
3. ბაბელონის გოდოლიდან წარლვნამდე, როცა შეიქმნა დედამიწაზე უარყოფითი, ლმურთთან დაპირისპირებულ ადამიანთა რასა;
4. წარლვნის შემდგომი პერიოდი.

აი, რას ამბობს ადამიანთა გენეტიკური წარმომავლობის შესახ-

ებ გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი პროფ. რამაზ შენგელია: „მსოფლიოს ხალხები გენეტიკურად ორ ჯგუფად იყოფა. დღემდე გავრცელებულია ორი თეზა: ქართველების უაღრესი გენეტიკური სიწმინდისა და პირიქით, ე.წ. „ნარევი ერის“ შესახებ“. თუმცა, გენეტიკის თვალსაწიერიდან მისთვის ეს საკითხი გაუგებარია. დღეისათვის გენეტიკის მხოლოდ 5%-მდეა მეცნიერებისთვის ცნობილი, ამიტომ ამ საკითხს მომავალი აუცილებლად წარმოაჩენს.

წმინდა გენეტიკური წარმომავლობის ქართველი ერისთვის ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა მარადიული და საყოველთაო რელიგიაა და მხოლოდ 2000 წლის წინ არ დაიწყო.. ქრისტე იყო ჯერ კიდევ „უწინარეს ჟოველთა საუკუნეთა“ ანუ ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხვავდებოდა. წარმართობის პერიოდის ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ქრისტე კვირიას, ხოლო შუმერში „სინ“-ის – ქართველთა ბერი ბაადურის სახითაა წარმოდგენილი.

მართლმადიდებელი ქართველი ერისთვის წმინდათა წმინდა ლოცვა არის „მამაო ჩვენო“: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სულევა შენი, იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეეპანასა ზედა... და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ“.

ზემოთ განხილული საკითხები და „მამაო ჩვენოს“ ტექსტი ნათლად წარმოაჩენს, რომ „ან“ ცის უზენაესი ღმერთი, რომელსაც ჯერ კიდევ შუმერები თვლიდნენ ღმერთთა და ადამიანთა მამად, ჩვენთან არ იყო და შუმერთა მითოლოგით მისი ადგილი დღემდე უკავია ენლილს, რომელიც „ითვლება კაცობრიობის ღმერთად, თუმცა ადამიანებისთვის უფრო მეტი უბედურება მოაქვს, ვიდრე საკეთე. მისი იღეა იყო კაცთა მოდგმის სრული მოსპობა“ (ზ. კიგნაძე – შუმერული მითოლოგიის ლექსიკონი, 1984 წ., გვ. 24 – „ენლილი“).

აქ მოხსენიებული „კაცთა მოდგმა“ სამყაროს შემოქმედი ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ხალხია, რომლებიც თავვანს სცემდნენ ქაჯებთან, ჭინკებთან და დევებთან მებრძოლ მარადიულ და უკვდავ ხეთისშვილებს. „კაცთა მოდგმის“ ხალხი მხოლოდ „ქართველთა უაღრესად წმინდა გენეტიკური წარმომავლობის“ ხალხ-

ია. ხოლო ღმერთთან დაპირისპირებული ბოროტი ძალები – ქაჯები, ჭინკები და დევები აღრე უჩინონი იყვნენ, მოგვიანებით მათ აღამი-ანების სახე მიიღეს და „კაცთა მოდგმის“ ხალხის გვერდით დაიწეულ ცხოვრება, რომელთა მიზანია, როგორც შუმერის მითოლოგია აღნიშ-ნავს, ხვთაებრივი წარმომავლობის „კაცთა მოდგმის“ ხალხის სრული განადგურება. ეს საკითხი წარმოჩენილია ქართულ მითოლოგიაშიც და შოთა რუსთაველის „ვეფხის ტფაოსანში“ (აკ. გელოვანი – მითოლოგი-ური ლექსიკონი, 1983 წ., გვ. 82 – „ასური“, გვ. 508 – „ქალი-ქალი“, გვ. 513 – „ქაჯი“).

საუკუნეების მანძილზე ქართველები „მამაო ჩვენოს“ ლოცვით მიმართავდნენ და ევედრებოდნენ შემოქმედ „ან“ ცის ღმერთს, რომ შეესმინა ჩვენი ვედრება, დაბრუნებულიფე ჩვენთან და დაემჟარებინა მისი სუფევა როგორც ცაში, ისე დედამიწაზე, რათა იხსნას თავის მსგავსად და ხატად შექმნილი „კაცთა მოდგმა“ ბოროტი ძალების მიერ სრული განადგურებისგან.

სამყაროს შემოქმედმა მამა ღმერთმა ჩვენი ლოცვა უკვე შეისმინა. ის უპე დაბრუნდა დედამიწაზე და 2000 წლიდან დაიწყო ბოლო უამი და ცეცხლით განწმენდა. ბოროტება თანდათან კარგავს ძალას. როგორც ითანეს გამოცხადება გადმოგვცემს: თეთრ ცხენზე მჯდომარე უხენაესი ღმერთი „სიმართლით გაასამართლებს და დამწეულსავს უვე-ლას რკინის კვერთხით, რომელსაც სამოსელზე და მის თეძოზე აქვს დაწერილი სახელი: მეფეთ-მეფე და უფალთ-უფალი“ (გამოცხადება ითანესი 19.11-16). ეს გაგრძელდება ახ.წ. 4000 წლამდე, რის შემდეგაც ბოროტებისგან განწმენდილი ადამის ცივილიზაცია გადავა ცივილი-ზაციის ახალ ციკლში.

მითოლოგიის მიხედვით, უკვდავებას და მარადიულ სასუფეველს მსოლოდ „უაღრესად წმინდა გენეტიკური წარმომავლობის ქართველი ხალხი“ მიაღწევს. შეიქმნება „ახალი ცა და ახალი მიწა“, სადაც „კაცთა მოდგმა“ ისევ ერთ ენაზე, მამა ღმერთის ენაზე – ქართულ ენაზე იღლაპარაკებს. ასეთია სამყაროს განვითარების ხვთიური გვეგმა, სამ-გარო უბრუნდება პირველსაწყისს და აღამიანთა მოდგმა ვერაფერს შეცვლის.

**ორ მილიონ ჭელზე ადრეული ფარმარტული  
ქრისტიანობის პვარი და ადამიათია  
პირველსაცხოვრისები  
საქართველოში**

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არის კლდეში ნაკვეთი ქალაქები, რომელთაც ეს ქვეყნები დედამიწაზე ადამიანთა პირველსაცხოვრისად მოიხსენიებენ. კლდეში ნაკვეთი ქალაქები საქართველოს თითქმის ყველა კუთხშია. ღღებისათვის განსაკუთრებით აღიარებულია ვარძია, უფლისციხე და დავით გარეჯი. მათ საქართველოში ქრისტიანული პერიოდის სულ დიდი 1000 წლის ძეგლად მოიხსენიებენ. ისინი ომ კავკასიაში ნამდვილად ადამიანთა პირველსაცხოვრისებია, ამას მოწმობს თუნდაც ასპინძის ე.წ. ვარძიის ნამდვილი სახელი „კლდის სოფელი ანანაური“, ე.ი. მას ღღებშე კლდის სოფელს ანუ ადამიანთა პირველსაცხოვრისს უწოდებენ.


სპეციალობით მშენებელმა ინჟინერმა, როგორც სამშენებლო კონსტრუქციების და სამშენებლო მექანიკის სპეციალისტმა, გამოვიკვლიერა ასპინძის ვარძია-ანანაურის 15 სართულიანი 430 ოთახიანი ნაგებობა. მეტად საინტერესოა ასევე უფლისციხის ტერიტორიაზე გამოკვეთილი უამრავ ცხოველთა გამოსახულებები. დავით გარეჯში გარდა კლდეში ნაკვეთი ქალაქისა, კლდეზე გამოკვეთილია გიგანტური გველები, ბაბელონის გოდოლი, რომლის პარალელები მექსიკის პირამიდებია, რომელთაც მეცნიერები ათარიღებდნენ IVს-ით, ნახშირბადის მეთოდით გამოკვლევით კი აღმოჩნდა 8000 წელზე ადრეული პერიოდის.

დავფიქრდეთ, რაში სჭირდებოდათ ქრისტიანებს ასეთი რთული სამუშაოს წარმოება, როგორიც არის კლდის გამოკვეთა ასეთი დიდი მოცულობით. საინტერესოა, რომ არცერთი ასეთი ნაგებობის მშენებლობა საქართველოს ისტორიაში დაფიქსირებული არ არის. არსად არ არის მოძიებული გატანილი კლდის ნანგრევი ნაგავი. რა იარაღით ხდებოდა კლდის გამოკვეთა – წერაქვით? ეს ხომ უბრალოდ არარეალურია. როგორ გაპქონდათ ნაგავი, რა განათების და სავენტილაციო საშუალებებს იყენებდნენ „მშენებლობის“ დროს?! დაახლოებით რამ-

დენი კაცი მუშაობდა. ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც ასპინძის ე.წ. „გარძიაში“ გამოანგრიეს 3,55კმ-მდე სიგრძის, სიმაღლით 2 მეტრი და სიგანით 0,5 მეტრი ანუ ნახევარი მეტრი წყლით მომარაგების გვირაბი – ასეთ ვიწრო გვირაბში რომელი ადამიანი შეძლებდა მუშაობას?! აშკარაა, რომ კლდეში ნაკვეთი ადამიანთა პირველსაც ხოვრისები მოგვიანებით თანამედროვე ქრისტიანებმა გამოიყენეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვაქვეყნე არაერთი სტატია. ამ საკითხზე შევხვდი და ვესაუბრე ბევრ სპეციალისტს, გავაკეთე მოხსენება საპატრიარქოს ხუროთმოძღვართა საბჭოზე.

30 წელზე მეტია ვმუშაობ მეტაფიზიკაში. ამ კუთხით კლდეში ნაკვეთი ქალაქების მიმართ ჩემი განსხვავებული მოსაზრება მაქვს.



ვარდია

ამ ნაგებობებს აშენებდნენ დედამიწაზე მცხოვრები წინა ცივილიზაციების ადამიანები. მათ ჰქონდათ განსაკუთრებული მეტაფიზიკური თვისებები: ანიჭებდნენ საგნებს უწონადობის მდგომარეობას, ჩვენთვის ხილული მატერია-კლდის მასა გადაჰყავდათ თვალისფრის უხილავ განზომილებაში, ხედავდნენ სიბნელეშიც და სუნთქვადნენ არა პარით, არამედ იკვებებოდნენ კოსმოსური ენერგიებით. მათ შეეძლოთ

220 ჭონიანი გიგანტური ქვების ზედაპირების ისეთ მაღალ დონეზე დამუშავება, რომ კედლის წყობაში დანის პირიც კი არ შედის; კლდეში კვეთავდნენ გიგანტურ ქანდაკებებს და დასამონტაჟებლად 80 კმ-ის მოშორებით გადაპქონდათ. (ნახეთ: 1970 წელს გადაღებული გერმანული ფილმი “Воспоминание о будущем”). იმ ადამიანებს პქონდათ ისეთი მეტაფიზიკური თვისებები და შესაძლებლობები, რაც ჩვენთვის წარმოუდგენელია.

ჩემს მიერ შესწავლილი და გამოკვლეული კლდეში ნაკვეთი ქალაქების საინჟინრო-გეგმარებითი და შშენებლობის წარმოების ტექნოლოგიის საკითხებიდან გამომდინარე, თანამედროვე ადამიანებისთვისაც კი ახლანდელი სამშენებლო ტექნოლოგიური სპეციალური მანქანა-დანადგარების პირობებშიც შეუძლებელი და წარმოუდგენელია ასეთი როტული სამშენებლო ნაგებობების კლდეში გამოკვეთა, როგორიც არის ე.წ. „ვარძია“ – კლდის სოფელი ანანაური, უფლისციხე, დავით გარეჯი და საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი სხვა ქალაქები. ჩემი კვლევებით ისინი ეგვიპტის პირამიდებზე გაცილებით ადრეული პერიოდისაა.

არ შეიძლება ასეთ ისტორიულ ძეგლებს იკვლევდნენ მხოლოდ ისტორიკოსები, რელიგიის მკვლევარები და არქეოლოგები. ასეთ კვლევებში აუცილებლად უნდა იყვნენ ჩართული სამოქალაქო და გვირაბმშენებლები, გეოლოგები, გეოდეზისტები და ფუძე-საძირკვლების საინჟინრო დარგის სპეციალისტები.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კლდეში ნაკვეთი ნაგებობები ითვლება ადამიანთა პირველსაც ხოვრისად. ასეთი იყო მათი ცხოვრების წესი. რა დაგვემართა ჩვენ, არიული თეთრი რასის პირველსაწყისი ცივილიზაციის ხალხს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე კლდეში გამოკვეთილ ადამიანთა პირველსაც ხოვრისებს თანამედროვე ქრისტიანულ არეალში მოვიაზრებთ, ისტორიული კავკასიის „ალვანეთს“ ალბანეთის სახელით მოვიხსენიებთ. აზერბაიჯანელები აქ ხომ სულ რაღაც VI საუკუნიდან ცხოვრობენ! თამარ მეფის მიერ აშენებული სამონასტრო კომპლექსი არის ხარაგაულის რ-ნის სოფელ ვარძიაში. ასპინძის ე.წ. ვარძიას კი დღემდე ჰქვია „კლდის სოფელი ანანაური“.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ არიული თეთრი რასის ქართველების რეალური ცხოვრების უძველესი ფაქტობრივი მასალა მიზანმიმართულად იბლოკება, მახინჯდება და საქართველოს ისტორიიდან ქრება.

მოვითხოვ ე.წ. ვარძიის – კლდის სოფელი ანანაურის, უფლისციხის და გარეჯის ჯერ კიდევ ხელშეუხებელი ადგილებიდან აღებულ სინჯებს ამერიკის ლაბორატორიებში ჩაუტარდეს თანამედროვე მეთოდებით სპეციალური გამოკვლევა მათი კლდეში გამოკვეთის რეალური თარიღის დასადგენად.

გარეჯი ადრეული ძეგლი ქვის ზანის კლდეში ნაკვეთი პირველ-საცხოვრისია კავკასიაში. ამას ადასტურებს საქართველოს ისტორიის




გარეჯი (2.5 მლნ. წლი)

ატლასი (დ. მუსხელიშვილი და სხვები, 2002 წ., გვ.2), საღაც რუკაზე ასახულია პალეოლითის – ძეგლი ქვის ზანის ისტორიული ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის გარეჯი, რომლის ასაკი **2-2,5** მილიონ წელს ითვლის (ქ.ს.ე. 1984 წ., ტ.7, გვ. 647 – პალეოლითი). ამას ადასტურებს ასევე გარეჯის ტერიტორიაზე კლდეში გამოკვეთილი გიგანტური ბაბელონის გოდოლი – დრაკონზე დაღმული კოშკი, უამრავი გიგანტური გველები, წარმართული სალოცავები და საცხოვრებელი სათავსები.

გარეჯის ერთ-ერთ კლდეზე, დავათის სტელას მსგავსად (ძვ.წ. 680წ.), გამოკვეთილია ქრისტეს – ქრისტიანობამდელ ქართველთა კვირიას (ბააღურის), ევროპელთა კვირინის და აღმოსავლეთის კვისინის სიმბოლო – გიგანტური თევზი თავით ქვემოთ. შუმერულ – ქართული კაბალას ცოდნა „სინს“ (ქრისტეს) – 30-ე დღის ღმერთს გამოსახავდა ძელზე ერთი ფეხით ჩამოკიდებულს თავით ქვემოთ. ქართულ ანბანში ციფრი 30 შეესაბამება „ლ-ლას“ ასო – ნიშანს. სიტყვა „ლას“ ძელ ქართულში ნიშნავს თევზს. (რ. პატარიძე – ქართული ასომთავრული, 1980წ., გვ. 413).

გარეჯის გიგანტურ თევზზე, დავათის სტელას მსგავსად, დაწერილია გიგანტური ორი ქართული ასომთავრული „C“ და „X“ ასო-



გარეჯი (2.5 მლნ. წლი)

ნიშანი, რომელიც მოიცავს ჩინური კაბალა „იძინის“ „სამყაროს ცვალებადობათა წიგნის“ №1 – №64 ჰექსაგრამების კოსმიურ პერიოდს. №1 ჰექსაგრამის სახელია „ცი-ან“ ანუ „ან“ ცის ღმერთია, ისევე როგორც შუმერში, რომლის ჩინურ იეროგლიფურ გამოსახულებაში ქართული ასომთავრული „C“ ზის, ხოლო №64 ჰექსაგრამაში, რომლის სახე-

ლია „ვეი-ჯი“ – „ჯერ არ არის დასასრული“, გამოსახულია ქართული ასომთავრული „X“ ასო – ნიშანი.

ქართული ანბანი კოსმიური ნიშნებია და ადამიანთა შექმნილი არ არის – ღმერთი ამბობს მე ანბანი ვარო. ქართული ანბანი თვით მამა ღმერთია. არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში მას თავზე გვირგვინად ადგას ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები. იგი ასევე არის კოსმიური მხედარი და მას მხედრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია.

გიგანტურ დრაკონზე დადგმული კოშკი – ბაბელონის გოდოლი არის სამყაროს დედის, ხეთისშობლის ანუ სულიწმინდის სიმბოლური ასახვა (ზ. აბზიანიძე სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, 2002წ, ტ. I, გვ. 113 – კოშკი).

ბიბლიური კაბალას ცოდნით, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, ბაბელონის გოდოლი, გრაალის თასი, ნოეს კიდობანი და ოქროს საწმისი არის ღმერთის შესაქმის გვირგვინის – ადამიანის სხეული, მისი სულის ჭურჭელი, რომლითაც ადამიანმა ყოფიერების ოკეანე უნდა გადაცუროს. კაბალას ცოდნაში თითოეულ მათგანს ქართული ანბანის განსაკუთრებული ასო – ნიშნის კოსმიური პერიოდი შეესაბამება. (ეს საუბრის დიდი თემაა).

ქართველები ძველ ქართულ ხელნაწერებში სიტყვა უფალის ნაცვლად წერდნენ „ო-ონ“ ასო-ნიშანს. აქედან გამომდინარე, პირველსაწყისი ადამიანები თვით ადამიანის სხეულს – ბაბელონის გოდოლს მოიაზრებენ უფლის სახლად, ხოლო დრაკონი – გველი კაბალას ცოდნით კოსმიური დროის მდინარებაა გამოხატული ადამიანის სხეულის ირგვლივ 12 ზოდიაქოთი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტე იყო „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე სამყარო დროსა და სივრცეში განსხეულდებოდა, რომელიც შექმნა წმინდა სამებამ, აღარ არის გასაკვირი, რომ გარეჯის ზემოთ განხილული კლდეში ნაკვეთი გამოსახულებები აშკარად არის სამყაროს შემოქმედი წმინდა სამების გამოხატვის კვალი. ეს ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ **2-2,5** მილიონი წლის წინ გარეჯში, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს, გავრცელებული იყო წარმართული ქრისტიანობა

და ამ ცივილიზაციის შემქმნელები იყვნენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები იძერიის ცივილიზაციის არიული თეთრი რასის გენეტიკურად ქართველი ხალხი (ჟურ. ჰოროსკოპი რევიუ, მარტი, 2019 წ. – არიული თეთრი რასა ქართველები და საქართველო). მომავალში შესაძლებელია 2,5 მილიონ წელზე უფრო აღრეული ქრისტიანობის კვალი აღმოჩნდეს საქართველოში. ჩვით გვივჩიბით ძრისტიანობა – მართმადიდებლობა გაცოდაზობის გარადიული და საყოველთაო რელიგიაა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი კვლევები გავუჩიარე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, საიდანაც 2019 წლის 10 ივნისს მივიღე №10/2195 ოფიციალური პასუხი: „მოგახსენებთ, რომ გარეჯის ტერიტორიაზე პალეოლითური პერიოდიდან ადამიანთა აქტივობის კვალი სხვადასხვა პერიოდში არქეოლოგიური მონაპოვრებით დადასტურებული ფაქტია. შესაბამისად ის სიახლე არ გახლავთ სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ლავრისა და ჩიჩიტურის მონასტრების ტერიტორიაზე უძველესი გამოსახულებების არსებობაზე, რომლებშიც თქვენი განცხადებით სამების და ქართული ანბანის გამოსახულებებია დაშიფრული, მეცნიერთა მრავალდარღობრივ კვლევებს შორის ინფორმაცია არ მოიპოვება. ვფიქრობთ აღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით სამეცნიერო კვლევას და სამეცნიერო წრეებში განხილვას, რაც პერსპექტივის საქმეა“. ვიმედოვნებ, რომ მომავალში სამეცნიერო საზოგადოება სერიოზულად დაინტერესდება ამ საკითხით.

დღევანდელ ქრისტიანობაში დიდია წარმართული ქრისტიანობის კვალი განსაკუთრებით შობის და აღდგომის დღესასწაულებზე. ქართველთა წარმართული „პ80ზ0ბ“ იგივე ქრისტე მამის მარჯვნივ, რომელსაც ქართული მითოლოგიით მამის მარჯვნივ კარავი აქვს გამლილი და სამწერლობო აქვს მოწყობილი. დღემდე ქართველები კვირის პირველ დღეს „კვირა“-ს ანუ „საუფლო“ დღეს ვუწოდებთ. თურქები და რუსები მდ. მტკვარს „კურა“-ს სახელით მოიხსენიებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველები ძველ ხელნაწერებში ქართული „შ“ ასო-ნიშნის ნაცვლად ხშირად „გ0“ ასო-ნიშანს წერდნენ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტყვა „კურა“ ქართველებისთვის არის „კვირა“ – „საუფლო“ მდინ-

არე, რომელიც თბილისში მთაწმინდას ჩამოუდის. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არ არის შემთხვევითი თუ გავითვალისწინებთ მთაწმინდის განსაკუთრებულ დღემდე შეუსწავლელ მეტაფიზიკურ თვისებებს.

არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში მამა ღმერთს, რომელსაც აქვს გრძელი თეთრი წვერი და ბერის სამოსი აცვია, ერთი შეხედვით მაღალი მთის სახე აქვს. ვფიქრობ „მთაწმინდა“ ამ საკითხის გააზრებაა.

ბერძნები დღემდე უფალს ასე მოიხსენიებენ „კვირიელეისონ“ ანუ „უფალო შეგვიწყალენ“. ამ გამონათქვამში „კვირია“ არის სიტყვა „უფალო“. აღმოსავლეთ ევროპის იტალიის და საბერძნეთის ტერიტორიაზე წარმართულ პერიოდში ადგილობრივ ხალხებს ჰყავდათ ერთ-ერთი მთავარი ღმერთი „კვირინი“, ხოლო აღმოსავლეთის ხალხს – „კვისინი“.

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ წარმართულ მსოფლიოს ხალხთა დიდი ნაწილი სამების მესამე წევრს „კვირია“ – „კვირინი“ – „კვისინი“-თ მოიხსენიებდა, რაც ბერძნებთან დღემდევა შემორჩენილი, თუმცა მათ ეს საკითხი უფრო ძველი ხალხებიდან აქვთ აღებული. დღევანდელ ქრისტიანობაში ძალიან დიდია წარმართული ქრისტიანობის კვალი.

სუდანის დაგონების, ტიბეტის და სხვა უძველეს ხალხთა მითოლოგიით „პა“- „პაპა“ სამყაროს შემოქმედი მამრი საწყისია, იგივე მამა ღმერთი. აქედანაა სიტყვა „პატრიარქატი“, რომის „პაპა“-ს სახელი. ქრისტიანული მრწამსით რომის პაპა არის სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის ნაცვალი დედამიწაზე, რომელსაც „პაპა“-ს სახელით მოიხსენიებენ. რუსეთი და მსოფლიო ევროპული ნაწილი ოჯახის უფროს მამაკაცს „პაპა“-თი მიმართავს. ბერძნები მღვდელს „პაპა“-ს უწოდებენ.

დღეს საქართველოს დიდი ნაწილი პაპას თურქული ენიდან შემოსული „ბაბა“ – „ბაბუა“-თი მოიხსენიებს, რაც არაქართულია და ყოვლად დაუშვებელი.

ქართული ენის დიდი მკელევარი აკაკი შანიძე თავის შეილიშვილს უკრძალავდა მიემართა „ბაბუა“-თი – „პაპა“ დამიძახე, ვინაიდან სიტყ-

ვა „ბაბუა“ ბებიას ნიშნავსო. ალბათ იმიტომ, რომ ძველ ქართულ ხელ-ნაწერებში „შ“ ასო-ნიშნის ნაცვლად „ო“-ს წერდნენ, რაც გვაძლევს სიტყვას „ბაბო“. „პაპა“ თვით სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთია.

დღეს უკვე აშკარაა, რომ ქართული ენიდან სიტყვა „პაპა“-ს ამოღებამ ერის სულიერებაზე და თვითმყოფადობაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა, ვინაიდან ქართული ენა მამა ღმერთის ენაა. იგი ქართულ ენაზე აზრებით მართავს და განაგებს სამყაროს.

თანამედროვე ქრისტიანობამ ბევრი რამ წარმართული ქრისტიანობიდან აიღო. ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყის უბრუდება, ამიტომ აუცილებელია შევისწავლოთ წარმართობის ქრისტიანობა. თვით სიტყვა წარმართობა ქართულ ენაში „წარმმართვულს“ ნიშნავს. ქრისტიანობა-მართლმადიდებლობა კაცობრიობის მარადიული და საყოველთაო რელიგიაა.

მოძრავული არტეზაზტები მყარად ადასტურებს, რომ გარეჯი 2–2,5 მილიონი ჭლის ძველი შეის ზენის ზოგად-საგაცობრივ მნიშვნელობის ძრისთიანული ისტორიული ძალის საჩართველოს ფერით იაზრის.

## ქრისტიან პიროვნელად და მართლებრივ მოსკოვი

აფრიკის კონტინენტზე სუდანის დასავლეთ ნაწილში, ბანდიაგარის პლატოზე, მდებარეობს სახელმწიფო „მალი“, სადაც ცხოვრობს დაგონების ხალხი, რომელთა მითოლოგიაში მეტად საინტერესოდაა აღწერილი სამყაროს შექმნა.

დაგონების მითოლოგიით, ზეციურ სივრცეში არის ღმერთი „ამმა“, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არსებობდა დრო და სივრცე. სამყაროს კვერცხის შიგნით „ამმა“ ქმნიდა ერთგვარ სპირალურ ენერგიას, რომელიც კვერცხში არსებულ დროის, სივრცის და ოთხი საწყისის (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) ერთგვარ ნარევს უძრავ შეკუმშულ მდგომარეობაში ამყოფებდა. კვერცხუჯრედის ერთგვარი განაყოფიერების შემდეგ რასაც მეცნიერებმა სამყაროს დიდი აფეთქება უწოდეს, იწყება „ამმა“-ს სპირალური ენერგიის მოქმედება კვერცხში არსებულ „ნარევზე“, რომლის შემდეგაც იქმნება უმცირესი თესლისმაგვარი „პა“, რომელიც ექცევა სპირალის ცენტრში, ბრუნავს და გამოასხივებს მატერიის ნაწილაკებს ხმოვანი (ბგერითი) და სინათლის ზემოქმედებით. „ამმა“ კვერცხის თესლში ამგვარად ქმნის მთელ სამყაროს. მითოლოგიის მიხედვით თვით არის ენერგია, რომელიც იწვევს სპირალურ მოძრაობას. შემდეგ იხსნება „ამმა“-ს ე.წ. „თვალები და შექმნილი მასა სპირალის მოქმედებით გამოდის გარეთ, ინარჩუნებს სპირალურ მოძრაობას და ქმნის სპირალურ ვარსკვლავურ სისტემებს. მთელი ეს კოსმიური პროცესი ხდება კვერცხის შიგნით. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი კვერცხის გარეთ გამოსულიყო, „ამმა“-მ დაიწყო ბრუნვა თავისი ღერძის ირგვლივ რის შედეგადაც იხსნება სამყაროს ოთხივე ჩატვირთილი ლავიწი და იქმნება სივრცის ოთხი მხარე (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი). ამის შემდეგ შეიქმნა ყველას და ყველაფრის თესლი, რომელშიც ჩატვირთულია ღმერთის სიტყვა – წინასწარ დასახული გეგმა, რის მიხედვითაც განსხვეულდება სამყაროში ყველაფერი.

იმის შემდეგ, რაც სამყარო გაიხსნა, და გადაიშალა „ამმა“-მ შექმნა პირველი ცოცხალი არსება ნომმო – თევზის სახით, რომელმაც წარ-

მოქმედა ოთხი ნომმო – სამყაროს ოთხი საწყისი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი): ნომმო „დი“, ნომმო „ტიტიან“, „ო“ ნომმო და ნომმო „ოგო“ – ყოვლად მოუსვენარი არსება, რომელიც არ დაელოდა სამყაროს აშენების დასრულებას, ააგო კიდობანი და გადაეშვა სივრცეში სამყაროს გაცნობის მიზნით. ამით „ოგო“-მ დაარღვია „ამძა“-ს გეგმები სამყაროს განვითარების შესახებ. მან ეს სამჯერ გააკეთა. „ოგო“-ს ამ საქციელით გაპრაზებულმა „ამძა“-მ შეაგროვა ყველაფერი თავისი შექმნილი და ჩატვირთა „პა“-ს თესლში.

სამყაროს განწმენდა – გასუფთავების მიზნით აუცილებელი გახდა „ო“ ნომმოს შეწირვა, რომლის აღდგომის შემდეგ სამყარომ მიიღო დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა, რის შემდეგაც „პა“-ს თესლმა სწრაფი ბრუნვითი მოძრაობით გამოაფრქვია „ამძა“-ს მიერ მასში ჩატვირთული ყველაფერი და ასე დაიბადა სამყარო იმავე სახით, რაც გააკეთა „ამძა“-მ სამყაროს პირველი შექმნის დროს.

აქ განხილული დაგონების მითოლოგიის მიხედვით, „ამძა“-ს მიერ დასახული სამყაროს შექმნის წინასწარი გეგმა – პროექტი სამჯერ დაირღვა და არ შესრულდა. მან სამყაროს განწმენდა – გასუფთავების მიზნით მეოთხედ შექმნა იგი და ამის განსახორციელებლად აუცილებელი გახდა „ო“ ნომმოს შეწირვა, რომელსაც დაგონები თავით ზემოთ თევზის სახით გამოსახავდნენ, რაც „ო“ ნომმოს აღდგომის სიმბოლოა. „ო“ ნომმოს აღდგომის შემდეგ სამყარომ მიიღო დროისა და სივრცისთვის დამახასიათებელი თვისებები და ციურმა მნათობებმა დაიწყეს მოძრაობა. ასე შეიქმნა სამყარო მეოთხედ მამრი „პა“-ს („პაპა“-ს) თესლიდან.

დაგონების ამ მითს ღრმად მიმავალი ფესვები აქვს წარმართული ქრისტიანობის ქართულ გენეტიკურ სივრცეში, რომელიც აისახება ჯერ კიდევ დედამიწის პირველ ადამიანთა ცოდნაში მრავაგანზილებიანი სამყაროს მეტაფიზიკური მოწყობის შესახებ და დღემდე მოსულია „კაბალა“-ს სახელით.

ეკლესია, უძველესი ტრადიციის თანახმად, „არკანული დისციპლინიდან“ იღებდა სათავეს (გ. ნარსიძე – „დავათის ქვა-ჯვარი“,

უკრ. მნათობი, №4, 1987წ. გვ. 162), რომელიც კაბალას სახელით არის ცნობილი. არსებობს ჩინური კაბალა – „იძინი“, შუმერული კაბალა – „მე“-ს „ღვთაებრივი კანონები“, ევროპელთა კაბალა – „რუნები“ და ეგვიპტურ – ებრაული კაბალა „ტაროს არკანები“. მათ ყველას ქართული საწყისები აქვს და მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე კაბალა ერქვა. დღემდეა შემორჩენილი ლაგო-დეხის რაიონში სოფ. „კაბალი“ და მდინარე „კაბალი“.

ტაროს არკანები კაბალას ერთ-ერთი სახეა, რომელიც შემდეგნაირად იშიფრება: სიტყვა „ტარ-ო“ „უფლის გზა“-ს ნიშნავს, სადაც „ტარ“ ქართული სიტყვა „ტარება“-სიარული-გზაა, ხოლო „ო“ ასო-ნიშნით გამოსახავდნენ ქართველები სიტყვას „უფალი“. „კაბალა“ ორი სიტყვისაგან შედგება – „კაბა“ და „ალი“, რაც ცეცხლის სტიქიის სამოსს – ოთხის სტიქიისგან (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) წარმოქმნილ მატერიას ნიშნავს, რომელშიც განსხვეულებულია სამყარო. „კაბა“ ამ შემთხვევაში „სულის სამოსს“ – მატერიას ნიშნავს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით „არკანი“ წარმოსდგება სიტყვა „არჩანა“-დან, რომელიც ქართული ენიდანაა აღებული და ნიშნავს, რომ „ტაროს არკანები“ წარმოაჩენს იმ კოსმიურ პროცესს, რაც თვალით „არჩანს“ და უხილავი დაფარული ღვთიური ცოდნაა ჩვენი მეტაფიზიკური მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ.

ტაროს არკანები განიხილავს 78 საიდუმლო კოსმიურ პროცესს, რომელიც მხოლოდ ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანში აისახება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირველი არკანის სახელია „ადამიანი“ და შექსაბამება ქართული ანბანის პირველი „ან“ ასო-ნიშანი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ არკანული კოსმიური საიდუმლო ცოდნა ეხება როგორც ადამიანს, ასევე ნებისმიერი მიკრო და მაკრო სამყაროს გენეტიკური ცვალებადობის კოსმიურ პროცესს. ქართველებმა ცივილიზაციის ბოლო ციკლის პირველ ადამიანს „ქართველი ადამი“ უწოდეს და ჯერ კიდევ 8000 წლის წინ აქედან დაიწყეს წელთაღრიცხვის ათვლა „ქართულ ადამს აქათ“.

დაგონებთან შეწირული ღმერთი „ო“ ნომმოს სახელით მოიხსე-

ნიება. ქართველებიც, ჯერ კიდევ უძველეს ხელნაწერებში, სიტყვა „უფალი“-ს ნაცვლად ყოველთვის „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ, რაც მიანიშნებს, რომ დაგონების „ო“ ნომმო იგივე ქართველთა კვირია – ბუქნა ბაადური და ქრისტეა, რომელსაც ასევე თევზის სახით გამოსახავდნენ. „ო“ ნომმოც ქრისტეს მსგავსად არის შეწირული ძე ღმერთი, რომელიც მამა ღმერთმა ამქევენად მოავლინა უდიდესი მისით – განეწმინდა და გაესუფთავებდა ფიზიკურად და სულიერად დაბინძურებული სამყარო.

გაბალას ტაროს არაბანებში ათსახება ძრისტიან პირგვლად და მიორულ მოსგლა. მისათვის, რომ ეს ურთულესი საკითხი უფრო ადვილად გავიგოთ და გავეცნოთ, თუ რას ამბობდნენ ქრისტიანობის პირველი მკვლევარები 2000 წლის წინ ქრისტეს ამქევენად მეორედ მოსვლის შესახებ.

ქრისტიანული ქრონოლოგიის ფუძემდებელია იულიუს აფრიკელი. მისი ქრისტიანული ქრონოგრაფია დაიწერა ა.წ.წ. 221 წელს. ადრექრისტიანული მრწამსით კაცობრიობის არსებობის დრო-ჟამი ადამიდან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე ექვსი ათასწლეულია, რომლის დასასრულს უნდა გახსნილიყო ათასწლოვანი სულთაობა ანუ ქრისტეს ათასწლოვანი მეფობა თავის მორწმუნებითან (გ. ნარსიძე – დავათის ქვა-ჯვარი, ქურ. მნათობი, №4, 1987წ. გვ. 167). მეტად გასაკვირია, რომ პირველ ქრისტიანთა მიერ საერთოდ არ განიხილება ქრისტეს მეორედ მოსვლა ადამიანის სხეულში, მისი ჯვარცმა და ცად ამაღლება. ეს საკითხი ბიბლიური კაბალას ცოდნაში სულ სხვაგვარადაა წარმოჩენილი.

ქრისტეს მიმდევართა ქრისტესთან ერთად ქვეყანაზე ათასწლოვანი მეფობის შესახებ მოვიყენოთ „ახალი აღთქმიდან“ ნაწყვეტი იოანეს გამოცხადებიდან – „სატანის შებოჭვა. ქრისტეს მიმდევარნი მეფობენ 1000 წელს“: „ზეციდან ჩამომავალმა ანგელოზმა შეიპყრო დრაკონი – პირველყოფილი გველი და ჩააგდო იგი უფსკრულში 1000 წლით. იხილა ტახტები და მათზე მსხდომარენი და მიეცათ იესოს მოწმობისა და ღმერთის სიტყვისთვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებმაც თავიანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატებას და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა და თავიანთ ხელზე. ისინი გაცოცხლდნენ და მეფობდნენ

ქრისტესთან ერთად 1000 წელს. და როცა 1000 წელი დამთავრდება, განთავისუფლდება სატანა თავისი საპყრობილიდან და გამოვა იგი დედამიწის ოთხივ კუთხეში, რათა შეაცდინოს და შეკრიბოს ერები საბრძოლველად, რომელთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა“.

ქრისტეს მეორედ მოსვლის უკეთ შეცნობის მიზნით განვიხილოთ შუმერთა ქვის ბეჭედი (ძვ.წ. 3400 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი), სადაც დროის მდინარის თევზის ზოდიაქოს ორიათასწლეულის დასაწყისში, რაც დროში შეესაბამება ახ.წ. პირველ წელს, გამოსახულია ქრისტეს მეორედ მოსვლის წინასწარმეტყველება. მასზე ასახუ-



პურა (ძვ.წ. 3400 წ.)

ლია ქრისტეს ნათლობა – იგი ნათლობის ემბაზში ნახევრად წყალშია, გულზე დიდი ჯვარით, თავზე ადგას სულიწმინდის ანგელოზი ოთხნაწიანი ქალღმერთის სახით. ქრისტეს თანმხლები ცხოველია ხარი – ოქროს ხბო. ამ ქვის ბეჭედზე ასახული ქრისტე არის ასევე მთვარის ღმერთი „სიօ“-ი, რომელიც შუამდინარეთის ხალხთა მითებით იწოდება 30-ე დღის ღმერთად და მისი საკრალური რიცხვია ოცდაათი. (ზ. კიკნაძე – შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, 1984 წ.).

ზემოთ განხილულის საფუძველზე აშკარაა, რომ შუამდინარეთის შუმერებმა, რომელთა წინაპრებიც არიან ქართველები (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.), 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს და ქვის ბეჭედზე ასახეს ქრისტეს მეორედ მოსვლა, აღდგომა და ნათლობა თევზის ზოდიაქოს ორიათასწლეულის ანუ ახა-

ლი წელთაღრიცვის დასაწყისში, დედამიწაზე თავის მორწმუნებთან ამყარებს ათასწლოვან კავშირს, რის შემდეგაც ამაღლდება ზეცაში და იკავებს აღვილს მამის მარჯვნივ.

ქართული მითებით ქრისტე – კვირია არის „ხმელთმოურავი“, მამის მარჯვნივ გაშლილი აქვს კარავი, სადაც მოწყობილი აქვს სამწერლობო – გადაშლილი აქვს ბედისწერის წიგნი და ამქვეყნად მომავალ აღამიანებს მამასთან ერთად განუსაზღვრავს ბედისწერას.

ღვთისშვილ კვირიასთანაა დაკავშირებული ქართველთა კვირის პირველი დღის სახელი „კვირა“ – „საუფლო დღე“, ბერძნულად „კვირია კე“. წარმართობის პერიოდში მსოფლიოს აღმოსავლეთი „კვირის“ სცემდა თაყვანს, ხოლო აღმოსავლეთი ევროპა – კვირის. დღემდე ქრისტიანი ბერძნები კვირის ქრისტესთან ათანაბრებენ და ასე ღოცულობენ: „კვირიელეისონ“ – „უფალო შეგვიწყალენ“. ეს კი ადასტურებს, რომ ქრისტეს სახელი „კვირია“ ქრისტიანულ სივრცეში წარმართობის დროს საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ქართველები ღვთისშვილ კვირიას ჟოველთვის ქრისტესთან ათანაბრებდნენ.

ბალიან ორმაა და შორს მიმავალი წარმართული ქრისტიანობის კვალი ქართულ გენეტიკურ სივრცეში, რაც კარგად წარმოჩნდება კაბალას ცოდნაში, ქართულ მითოლოგიაში, ქართულ ენასა და ქართულ ანბანში.

ახ. წელთაღრიცხვის პირველი ქრისტიანები საუბრობენ ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, მაგრამ ქრისტეს პირველად მოსვლაზე სერიოზული კვლევები არ არსებობს. მოვიძიოთ და გავარკვიოთ ქრისტეს პირველად მოსვლა.

ვინაიდან ეკლესია უძველესი დროიდან არკანული ცოდნიდან იღებდა სათავეს, ქრისტეს პირველად მოსვლაც კაბალას ტაროს არკანთა ცოდნაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც ქართული ფესვები აქვს და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შუმერთა ქვის ბეჭედზე წარმოჩნდილ კოსმიურ პროცესში II ღმერთკაცი არის ქრისტე – ქართველთა კვირია და დაგონების „ო“ ნომმო, რომელიც ითვლება 30-ე დღის ღმერთად. კაბალას ცოდნაში, საღაც აისახება ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად

შექმნილი „ადამიანი“-ს დღეებში გაწ-  
ერილი გენეტიკური ცვალებადობის  
მთლიანი კოსმიური პროცესი მისი  
ადამიანად ჩასახვიდან სიკვდილამდე,  
რასაც ადასტურებს I არკანის სახელი  
„ადამიანი“, 12-ე არკანის სახელი  
„ჩამოხრჩობილი“ და მისი შესაბამისი  
რიცხვი „30“ ანუ ქრისტე არის 30-ე  
დღის ღმერთი.

კაბალას ტაროს არკანების 12-ე  
არკანის გამოსახულებაზე ვხედავთ  
ორი ხის ტოტებზე გადებულ ძელს,  
რომელზეც თოკზე ერთი ფეხით თავით  
ქვემოთ მიწისკენ მიმართულად ჩამოკ-  
იდებულია ახალგაზრდა ვაჟი, ხოლო  
მეორე ფეხი გადადებული აქვს თოკზე  
ჩამოკიდებულ ფეხზე. მისი სახელია –  
„ჩამოხრჩობილი“, რომელიც არის ტყვე, დასჯილი, წამებული, გასა-  
მართლებული და ბოლოს შეწირული – „ჩამოხრჩობილი“ ანუ მოკლუ-  
ლი. არკანული ცოდნით ადამიანის ასეთი სახით გამოსახვა მოიაზრებს  
სულის გამატერიალიზებას.

მაშასადამე, ამ ქვეყანაზე მოსული ადამიანის გამატერიალიზებუ-  
ლი სული, რასაც ჩვენ ცოცხალს ვუწოდებთ, სინამდვილეში არის მკვ-  
დარი-მიცვალებული. იქნებ ეს საკითხი XII საუკუნეში მოღვაწე შოთა  
რუსთაველისთვის უკვე ცნობილი იყო, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“  
ამბობს: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“-ო. ეს  
კი ნიშნავს, რომ ადამიანებმა ჩვენს შესახებ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ  
ვიცით.

ტაროს 12-ე არკანის კოსმიური პერიოდი არის ადამიანის – ბავშ-  
ვის დედის მუცელეში მისი ჩასახვიდან 30-ე დღე, ვინაიდან უფროს  
არკანთა ჯვეუთის 1-21 არკანი არის დედის მუცელეში არსებული ბავშ-  
ვის კოსმიური პერიოდი გამოსახული დღეებში. 21-ე არკანის შესა-



12-ე არკანი  
ჩამოხრჩობილი

ბამისი ციფრია 300 ლდე ანუ 40 კვირა, რის შემდეგაც „0“ ანუ 22-ე არკანი არის ბავშვის სამყაროს ანუ მატერიალური სხეულის დაბადება და შეესაბამება უმცროს არკანთა ჯვეუფის I არკანი – „წარლვნა“, საიდანაც დაიწყეს ქართველებმა „ქართული დასაბამითგან“-ის წელთაღრიცხვა და მას შეესაბამება ძვ.წ. 5600 წელი. დასაბამიდან ქრისტეს მეორედ მოსელამდე ქართველები 5600 (5604) წელს ითვლიდნენ. (ნახეთ: ნ.ხ. ქართული წელთაღრიცხვები..., 2018წ.). უმცროს არკანთა (22-78 არკანი) კოსმიური პროცესი არის უკვე დაბადებული ადამიანის ოთხი საწყისით ( მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი) შექმნილი სხეულით ამ ქვეყანაზე მისი ცხოვრების გენეტიკური ცვალებადობა დროში. ეს გენეტიკური პროცესი ეხება მხოლოდ მამა ღმერთის მიურ თავის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანებს და აისახება მხოლოდ ქართულ ანბანში, რომელიც არის მიკრო და მაკრო სამყაროს გენეტიკური კოდი.

ვინაიდან კაბალას ცოდნა ადამიანის სამყაროში დროის გენეტიკურ კოსმიურ ცვალებადობას წარმოადგენს დღეებში, ხოლო დედამიწის მიმართ წარმოაჩენს წლებში, შეგვიძლია ტაროს არკანების მიხედვით გამოვთვალოთ როდის მოხდა ქრისტეს პირველად და მეორედ მოვკლა:


1. ქრისტეს პირველად მოსვლა ადამიანში, როგორც სამყაროში, ხდება დღის ორგანიზმის კვერცხუჯრედის განაყოფიერებიდან 30-ე დღეს, რომელსაც ტაროს არკანებით შეესაბამება 12-ე არკანი – „ჩამოხრიბილი“ და მისი შესაბამისი ციფრია „30“, ხოლო ქართული ანბანით 12-ე „ლ-ლას-30“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდია. ქართველები თევზების ღმერთს „ლასა“-ს უწოდებდნენ. ქრისტეს პირველად მოსვლის სიმბოლოა თევზი თავით ქვემოთ, რაც ნიშნავს ქრისტეს ჩამოსვლას დედამიწაზე და მის მატერიაში განსხეულებას. ჯერ კიდევ 2,5 მილიონი წლის წინ ქართველებმა იცოდნენ ქრისტეს პირველად მოსვლის შესახებ და მას გამოსახავდნენ თევზის სახით თავით ქვემოთ. ამას ადასტურებს გარეჯის კლდეზე (2,5 მლნ. წელი) და დავათის სტელაზე (ძვ.წ. 680წ.) ამოკვეთილი თევზი თავით ქვემოთ, რომელზედაც ამოკვეთილია ასევე მამა ღმერთის სიმბოლური გამოსახულებები – ქართული ასო-ნიშნები. მაშასადამე, ქრისტეს პირველად მოსვლა ადამიანის სხეულში

ხდება მისი ჩასახვიდან 30-ე დღეს, ხოლო დედამიწაზე ქრისტეს პირველად მოსვლა მოხდა „ქართულ ადამს აქათ“ 30 წელს, ანუ ძვ.წ. 5970 წელს ( $6000 - 30 = 5970$ ).

2. ქრისტეს მეორედ მოსვლა კაბალას ტაროს არკანების პირველ ადამიანთა ცოდნის მიხედვით, ადამიანის სხეულში, როგორც სამყაროში ხდება მისი დედის მუცელში ჩასახვიდან **6000**-ე დღეს. ამას კაბალას ცოდნით და ქართული ანბანით შეესაბამება „33 – ხ – ხან – 6000“ ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდი. ეს არის ქრისტეს ნათლობა და აღდვომა. მას დაგონები გამოსახავდნენ თევზის სახით თავით ზემოთ. ქრისტეს მეორედ მოსვლას შეესაბამება მოზარდი ადამიანის 15 წლის და 8 თვის ასაკის კოსმიური პერიოდი. ხოლო დედამიწაზე ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდა „ქართულ ადამს აქათ“ 6000 წელს ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში 2000 წლის წინ.

ზემოთ განხილული ადასტურებს, რომ კაბალას ცოდნაში ადამიანის სხეულის სამყაროსთვის 1 დღე დედამიწისთვის 1 წელია. ანუ ადამიანის სხეულში დრო დაჩქარებულია დედამიწის დროსთან შედარებით. ასე აღიქვამდნენ დროის მდინარებას ქართველთა უშორესი წინაპრები. მათ ეს ცოდნა ასახეს ქართულ ანბანში და კაბალაში, რომელიც არის პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიანი კოსმიური სინთეზი, სადაც აისახება ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლა.

დაგონების მითოლოგით სიტყვა „დაგ-ონი“ ორი სიტყვისგან შედგება – „დაგ“ ნიშნავს თევზს, ხოლო „ონი“ ქართული ანბანის „ო“



„ო“ ნომერი

ასო-ნიშანია. ქართველები სიტყვა „უფალი“-ს ადგილას ყოველთვის „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ. ამას უკავშირდება „ო“ ნომმოს სახელიც, რომლის კოსმიური მისია, დაგონების მითოლოგით, ქრისტეს მისიათან ასოცირდება.

ქრისტეს სიმბოლოა თევზი. თავით ქვემოთ გამოსახული თევზი ამ ქვეყნად ქრისტეს პირველად მოსელას წარმოაჩენს, ხოლო თევზი თავით ზემოთ ქრისტეს მეორედ მოსვლის, ნათლობის და აღდგომის სიმბოლოა.



დავათის სტელა (ძ. წ. 680ე)



გარეჯი (2,5 მლნ ელი)

ქართულ მითებში ღვთისშეიღები ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ კაცთა მოდგმის სხეულებში ცხოვრობენ, ხოლო ქრისტე-კვირია-ბუქნა ბააღური კი არის მამა ღმერთის „ძე“ ღმერთი – ქართველთა ერთ-ერთი ღვთისშეიღლი.

ზემოთ განხილულის მიხედვით დასტურდება, რომ ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლა თვით კაცთა მოდგმის ადამიანთა სხეულებშია გენეტიკურად დაპროგრამებული. ქრისტე – კვირია თვით ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანთა სხეულებშია. ასეთი ადამიანები მხოლოდ სისხლით და გენით იბერიული მოდგმის ქართველები არიან.

შეგახსენებთ დაგონების მითის იმ ადგილს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ერთ-ერთი ნომმო სამჯერ დროზე აღრე მოვიდა ამ ქვეყნაზე, რამაც

გამოიწვია სამყაროს დაბინძურება. ამის გამო დაგონების ღმერთმა „ამა“-მ სამჯერ თავიდან შექმნა სამყარო. მეოთხედ სამყაროს თავიდან შექმნისას დაბინძურებული სამყაროს გასუფთავება-განწმენდის მიზნით „ამა“-მ შესწირა „ო“ ნომმო. რა იგულისხმება „ო“ ნომმოს ანუ ქრისტეს ამქვეყნად მოვლინების და მის მიერ სამყაროს გასუფთავება-განწმენდის მისაში?! დაგონების მითებში ეს საკითხი არ არის განმარტებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „ო“ ნომმო იგივე კვირია-ბუქნა ბადური და ქრისტეა – თევზების ღმერთი, რომელსაც სახვადასხვა ხალხი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდა.

სამყაროს ქრისტეს მიერ გაწმენდა-გასუფთავების საკითხი განვიხილოთ ქართულ მითებში თუ როგორ არის ასახული. ქართველთა 64 ღვთისშვილი ყველა არის ბედის ბედაურის მფლობელი და ერთის – გიორგი ნაღვარმშვენიერის ანუ თეთრი გიორგის 64 სახე-გამოვლინება, რომლებიც ათასწლეულები მუდმივად ებრძვიან ჭინკებს, ქაჯებს და დევებს, რათა კვლავ მოიპოვონ ის ოთხი ღვთაებრივი საწყისი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი), რომელიც წაართვეს მამა ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს.

ადრე ქაჯები, ჭინკები და დევები თვალისოვის უხილავნი ანუ უჩინარნი იყვნენ. შემდეგ ღმერთის მიერ მის მსგავსად და ხატად შექმნილ კაცთა მოდგმის ადამიანებს წაართვეს ღმერთის მიერ შექმნილი მათი სხეულის ოთხი საწყისი (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი), მიითვისეს და თვითონ ადამიანების სახით მოევლინენ ამ ქვეყანას. ეს კოსმიური მოვლენა დედამიწაზე მიმდინარე 10 000 წლიანი ციკლის კოსმიურ პერიოდში ხდება, რომელიც 8000 წლის წინ დაიწყო. ეს ხალხი არის ღმერთთან დაპირისპირებულ ადამიანთა რასა, რომელიც სულ რაღაც 5700 წლის წინ მოევლინა ამ ქვეყანას. მსოფლიოს მეცნიერებმა მათ „უსულო ადამიანები“ უწოდეს. როგორც მსოფლიოს ისტორია გვაუწყებს, მათ თითქმის მთლიანად ამოულიტეს დედამიწაზე ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსად შექმნილი კაცთა მოდგმის ადამიანები – იბერიული ცივილიზაციის ხალხები, რომლებიც დედამიწაზე ძალიან მცირე რაოდენობით შემორჩა.

ქართველთა ღვთისშვილებმა ჭინკებთან, ქაჯებთან და დევებთან

მრავალი ათასწლეულების ბრძოლის შემდეგ კვლავ დაიბრუნეს მამა ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს ოთხი საწყისი. ეს კოსმიური პროცესი ასახულია სტატიაში წარმოდგენილ შუმერთა ქვის ბეჭედზე და ქართულ მითოლოგიაში: I ღმერთკაცი ქართველთა კოპალაა, რომელმაც ძვ.წ. 1000 წელს ქაჯებთან, ჭინკებთან და დევებთან ბრძოლაში გაიმარჯვა და მოიპოვა მიწის სტიქიის სიმბოლო – ლომი; II ღმერთკაცი ქრისტეა – ქართველთა კვირია-ბუქნა (ჩაბუქნული) ბაადური, რომლის სიმბოლური გამოსახულებაა თევზი, რომელმაც თევზის ზოდიაქოს დასაწყისში ანუ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში გაიმარჯვა ბოროტ ძალებთან ბრძოლაში და მოიპოვა ხარი – ოქროს ხბო; III ღმერთკაცი ქართველთა თერგვაულია, რომელმაც ახ.წ. 1000 წელს მოიპოვა ჰაერის სტიქია, რომლის სიმბოლური გამოსახულებაა თეთრი მთის ქორი; IV ღმერთკაცი ქართველთა დობილიანი იახსარია, რომელმაც ახ.წ. 2000 წელს თევზის ზოდიაქოს ბოლოს მოიპოვა ცეცხლის სტიქია, რომლის სიმბოლური გამოსახულებაა ქალი.

მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებს სამყაროს ოთხი საწყისი სფინქსის სახით აქვთ გამოსახული, რომელსაც თათები აქვს ლომის, მხრები – ხარის, ფრთები – თეთრი მთის ქორის, სახე – ქალის.

ცეცხლის სტიქია მოიცავს ოთხივე სტიქიის ენერგიას და როგორც ვხედავთ, დედამიწაზე დაიწყო მათი მკვეთრი გააქტიურება, რომელიც გამოვლინდება სამყაროს ოთხი საწყისით შექმნილი უჯრედების დნმ-ის დონეზე, რასაც ჩვენ დღეს ე.წ. გლობალურ დათბობას ვუწოდებთ. ახ.წ. 2000 წელს დედამიწაზე დაიწყო ბოლო ჟამის ორიათასწლეული. ამ პერიოდში ცეცხლის სტიქიის გააქტიურებით დედამიწაზე გაქრებიან ჭინკები, ქაჯები და დევები – ამით გასუფთავდება და გაიწმინდება სამყარო ბოროტი ძალებისაგან. ახ.წ. 4000 წელს დამთავრდება 10000 წლიანი კოსმიური ციკლი და დაიწყება ცივილიზაციის ახალი ციკლი, სადაც სიკვდილი აღარ იქნება.

რას გვეუბნება ამის შესახებ ბიბლია?! გავიხსენოთ „ახალი აღთქმიდან“ იოანეს გამოცხადება ბოლო ჟამის შესახებ – „სატანას განთავისუფლება და ცეცხლის ტბა“: „და როცა ათასი წელი დამთავრდება (ეს არის ახ.წ. I ათასწლეული), განთავისუფლდება

სატანა თავისი საპყრობილედან და გამოვა დედამიწის ოთხივე კუთხეში, რათა შეაცდინოს ერები, გოგი და მაგოგი, შეკრიბოს ისინი საბრძოლველად, რომელთა რიცხვი ზღვის ქვიშასავითაა. გამოვიდნენ დედამიწის სივრცეში, შემოერტყნენ წმინდა ბანაკს და საყვარელ ქალაქს. და ჩამოვიდა ცეცხლი ზეციდან და შთანთქა ისინი. ხოლო ეშმაკი, რომელმაც აცდინა ისინი, ჩაგდებულ იქნა ცეცხლისა და გოგირდის ტბაში, სადაც აგრეთვე მხეცი და ცრუ წინასწარმეტყველია. და დაიტანჯებიან დღე და ღამე უკუნითი უკუნისამდე“.

გავისენოთ შოთა რუსთაველის წინასწარმეტყველება ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით: „ღმერთი კარგსა მოავლინებს, მას ბოროტსა არ დაპბადებს“.

ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი სისხლით და გენით ქართულ – იბერული მოდგმის ხალხი, რომელთა სხეულებშიც ცხოვ-რობენ ქართველთა ღვთისშვილები და მათ შორის კვირია – ქრისტე, არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ქართველი ერთ გადაურჩა დედამიწაზე დროის მდინარების ათასნაირ თრომტრიალს და დღემდე მოვიდა.

# ქ ა რ თ უ ლ ი ა ნ ბ ა ნ ი

## ფარმაციული ქრისტიანობის ძეგლებზე.

### სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს.

ყოველი ადამიანი ოდითგანვე მეტყველებს და აზროვნებს სიტყვებით, რომლებიც ასო-ბეგერებით წარმოჩინდება, ხოლო თითოეული ასო-ბეგერა თავისი შესატყვისი ასო-ნიშნით იწერება.

ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ადამიანებს გაუჩნდათ რწმენა იმისა, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რომ ისინი ღვთაებრივი წარმოშობისანი არიან. მათი აზრით თითოეული ასო-ნიშანი არის დამოუკიდებელი არსება, კოსმოსური ელემენტი, აღნიშნავდნენ რიცხვით და ღმერთის განსაკუთრებული ნიშნით გამოსახავდნენ. ანბანის თითოეულ ასო-ნიშანს შეესაბამება არსთა წრებრუნვის კოსმიური სურათი, რომელიც სამყაროში მოქმედებს იმ ხანგრძლივობით, რა რიცხვიც წერია მის გვერდით ანბანში. ეს არის ცისა და მიწის, ხილულის და უხილავის და რაც არის მათ შორის ერთიანი, ცოცხალი კოსმიური პროცესის ასახვა, მისი ცვალებადობა დროში.

პირველ ადამიანებს გახსნილი პქონდათ ე.წ. მესამე თვალი; ხედავდნენ და აღიქვამდნენ სამყაროს ყველა განზომილებაში. დროთა განმავლობაში ეს „თვალი“ დაიხურა და მეტაფიზიკური თვისებები შემორჩათ მხოლოდ ქურუმებს, ღმერთისგან განდობილ და ხელდებულ ადამიანებს.

დედამიწის პირველ ადამიანთა და ქურუმთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე მის ყველა განზომილებაში, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დღემდება მოტანილი. მსოფლიო ამ ცოდნას „კაბალა“-ს სახელწოდებით იცნობს: ჩინეთის „ი-ძინი“ – „ცვალებადობათა წიგნი“, რომელშიც სამყაროს კოსმიური პროცესის ცვალებადობა გამოსახულია 6 ხაზით 64 ჰექსაგრამით; ეგვიპტის „ტარო“-ს 78 არკანი, შუმერების „მე“-ს „ღვთაებრივი კანონები“, „ევროპელთა რუნები“. ყველა ისინი გამოიყენება ადამიანის სამყაროს ბედისწერის განსაზღვრისთვის. „კაბალა“ უშუალოდ ადამიანის სამყაროს გენეტიკურ კოდთან, ანუ ადამიანის ბედისწერასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან იგი არის

„ღმერთის შესაქმის გვირგვინი“.

ბიბლიური კაბალას ცოდნა მსოფლიოში არსებული ანბანებიდან მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში აისახება. ამასთანავე, აღმოსავლეთ საქართველოს აღვანეთის (აღბანეთის) დიდ ნაწილს ოდითგანვე კაბალა ერქვა და კაბალას ცოდნა სხვადასხვა ხალხებმა სწორედ აქედან გაიტანეს.

ქართული ანბანის მიხედვით, „კაბალა“-ს ცოდნაზე დაყრდნობით, შეგვიძლია განვსაზღვროთ: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, წელთაღრიცხვა „ქართულ ადამს აქათ“ და ქართული „დასაბამითგან“, როდის მოხდა წარღვნა, როდის დაინგრა ბაბელონის გოდოლი, რა არის გრაალის თასი, ოქროს საწმისი, ნოეს კიდობანი, სამყაროს შექმნის 6 დღე; მასში აისახება სამყარო წარღვნამდე და წარღვნის შემდეგ, სამყაროს ოთხი საწყისის კოსმიური პერიოდები; მასშია სამყაროს ყველა კოსმიური საიდუმლო.

კაბალა – კაცობრიობის პირველსაწყისი კოსმიური ცოდნა ღმერთზე, ადამიანსა და სამყაროზე ახლა უკვე თავის პირველსაწყის სამშობლოს, კავკასიას – საქართველოს დაუბრუნდა.

ქართული ასო-ნიშნებია ჩინური კაბალას – იძინის ჰექსაგრამების შესაბამის იეროგლიფებში, სამხრეთ ამერიკის საპოტეკების ღმერთების გამოსახულებებზე, ჩინელებს და შუმერებს ჰყავდათ „ან“ ცის ღმერთი. ეგვიპტელთა ერთ-ერთი მზის თაყვანისცემის ქალაქი იყო „ონი“, რაც ქართული ანბანის „ო-ონ“ ასო-ნიშანს უკავშირდება – ქართველები სიტყვა უფალის ნაცვლად ძველ ხელნაწერებში ყოველთვის „ო“ ასო-ნიშანს წერდნენ. ორი ურთიერთდაპირისპირებული პირველსაწყისი „ინ“ და „იან“-ი ქართული ანბანის „ი-ინ“ და „ა-ან“ ასო-ნიშნების სახელ-ლებებიდან და კაბალას კოსმიური ცოდნიდანაა აღებული. ქართული ანბანის კვალია ძველი ცივილიზაციის თითქმის ყველა ხალხთან. (ეს საუბრის დიდი თემაა).

კითხვაზე, თუ ვინ შექმნა ანბანი, შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რაც მიგვანიშნებს ანბანის, როგორც გენეტიკური კოდის უდიდეს ფუნქციაზე. არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათებში ასომთავრული ასო-

ნიშნები მამა ღმერთს თავზე ადგას, ენერგეტიკულია და მბრუნავია; ამიტომ ჰქვია მას „თავრული“, ანუ „მთავრული“ ანბანი. მამაღმერთი მრავალსახაა. მისი ერთ-ერთი სახეა კოსმიური მხედარი. მხედრული ასო-ნიშნები კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია, ამიტომ ჰქვია მას მხედრული ანბანი. როგორც ასომთავრული, ისე მხედრული ანბანი გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა. ხოლო მესამე – ნუსხახუცური ანბანი მოგვიანებით ასომთავრული და მხედრული ანბანებიდან შეიქმნა.

შსოფლიოს სხვა ანბანები არ არის კოსმიური ნიშნები და შექმნილია მხოლოდ ყოფითი ურთიერთობებისთვის. ამაზე მეტყველებს მათი ასო-ნიშნების ვიზუალური სახე და ასო-ნიშანთა სახელდებები. ამ ანბანებში არცერთი ნიშნით არ აისახება კაბალას ცოდნა.

„კაბალა“ ყველა არსებულ მეცნიერებათა ჯამია. იგი გამოხატავს ადამიანის ზესვლას სულიერი გასხივოსნებისა და სრულფოფისაკენ. ქართველი ერის X საუკუნის უდიდესი საზოგადო მოღვაწე და მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე „ქებავა“-ს ტექსტში ხაზგასმით ამბობს: „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“, სადაც მოიაზრება როგორც ქართული ენა, ისე ქართული ანბანი.

ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა) პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. იოვ. 22,13). ეს სიტყვები ეხება მხოლოდ იმ ანბანს, რომელშიც „კაბალა“-ს ბიბლიური ცოდნა აისახება. ასეთი კი მხოლოდ ქართული ანბანია. ღმერთი თვითონ არის ქართული ანბანი, ხოლო ადამიანს არ შეეძლო ქართული ანბანის, ანუ ღმერთის შექმნა.

ქართული ანბანი მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა. შსოფლიოს უძველეს ხელნაწერთა ცენტრებში ქართული ანბანით მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებული ხელნაწერებია დაცული. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტები დღესაც გასაგებია ქართველთათვის, მაშინ როდესაც მსოფლიოს ყველა სხვა ხალხი თავიანთ უძველეს ხელნაწერებში გამოყენებულ ენას ხელახლა სწავლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ სამეტყველო ენაზე დროის ცვალებადობა არ მოქმედებს. ქართული ენა მარადიული ჟამის ენაა,

რასაც იბერიის ცივილიზაციათა საწყისთან მიედინა.

ქართველების მიერ ქართული ანბანის გამოყენება შეგვიძლია დაგვით სამ პერიოდად:

1. წარმართული ქრისტიანობის საკულტო ადგილებში ქართული ანბანის გამოსახვა სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის თაყვანისცემის ნიშნად – გარეჯის კლდეზე ამოკვეთილ თევზზე ასახული ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი (2-2,5 მილიონი წელი) და გრაკლიანის სალოცავში გამოსახული ათი ქართული ასო-ნიშანი (ძვ.წ. XI-X სს).

2. წარმართული ქრისტიანობის საკულტო ადგილებში ქართული ანბანის გამოსახვა სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის თაყვანისცემის ნიშნად, რომლებზედაც ასო-ნიშნებზე ქარაგმის სახით ასახულია ძეგლების შექმნის თარიღები – არმაზის სტელა ოთხი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნით (ძვ.წ. 800წ.). და დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანის 37 ასო-ნიშანი (ძვ.წ. 680წ.).

3. ახალი ქრისტიანობის პერიოდში, დაახლოებით IV ს-დან, ქართულ წერილობით წყაროებზე ძეგლების შექმნის თარიღების ქართული ანბანით გამოსახვა თითქმის XIX ს-ის ბოლომდე გრძელდებოდა.

### გარეჯი (2-2,5 მილიონი წელი).

გარეჯი ძველი ქვის ხანის პირველსაცხოვრისია კავკასიაში ამას ადასტურებს საქართველოს ისტორიის ატლასი (დ. მუსხელიშვილი და სხვები 2002წ. გვ. 2), სადაც რუკაზე ასახულია პალეოლითის – ძველი ქვის ხანის ისტორიული ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე. მათ შორისაა გარეჯი, რომლის ასაკი 2 – 2,5 მილიონ წელს ითვლის ( ქ.ს.ე. 1984წ. ტ. 7, გვ. 647 – პალეოლითი). ამას ადასტურებს ასევე გარეჯის ტერიტორიაზე კლდეში გამოკვეთილი გიგანტური ბაბელონის გოდოლი – ღრაკონზე დადგმული კოშკი (ჩიჩხიტური, რომელიც წარმართული ქრისტიანული იკონოგრაფიით არის ღვთისმშობლის სიმბოლური გამოსახულება. გარეჯში ერთ-ერთ კლდეზე გამოკვეთილია წარმართული პერიოდის ქრისტეს სიმბოლო თევზი თავით ქვემოთ, რომლზედაც

ამოკვეთილია ასევე სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის სიმბოლო – ქართული ანბანის ორი ასომთავრული ც და ჯ ასო-ნიშანი, რომელიც მოიცავს ჩინეთის „იძინი“-ს №1 – №64 ჰექსაგრამების კოსმიურ პერიოდს. (ნახეთ: უკრნ. ჰოროსკოპი+რევიუ №3 გვ.31 – 2 მილიონ წელზე ადრეული წარმართული ქრისტიანობის კვალი საქართველოში).



გ ა რ ე პ ი (2,5 მლნ. ცელი)

ფოველივე ზემოთ აღნიშნული აღასტურებს, რომ ქართველებს ჯერ კიდევ 2-2,5 მილიონი წლის წინ ჰქონდათ წარმართული ქრისტიანული სამების აღქმა და თავებისცემა; ჰქონდათ ქართული ანბანი, გამოსახავდნენ საკულტო აღგილებები და თავების სცემდნენ როგორც მამა ღმერთის სიმბოლურ გამოსახულებებს.


მომავალში შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე 2,5 მილიონ წელზე აღრეული ქართული ანბანი აღმოჩნდეს და ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ქართული ანბანი თვით მამა ღმერთია – სამყაროს შემოქმედი კოსმიური მხედარი თეთრი გიორგი.

### **გრაპლიანის ათი ასო-ნიშანი (ძვ.წ. XI – X ს.ს.).**

კასპის რაიონში გრაკლიანის გორაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას ტაძრის საკურთხეველთან აღმოაჩინეს თიხაში გამოსახული ათი ასო-ნიშანი, რომლის ასაკიც ამერიკის მაიამის

ბეტა ლაბორატორიაში ძვ.წ. XI-X სს-ით დათარიღდა. პროფ. ვახტანგ ლიჩელის აზრით, დღემდე უცნობი წარწერა საქართველოში დამწერლობის გამოყენების 3000 წლის ისტორიას ცხადყოფს. მან საზოგადოებას წარუდგინა მეცნიერთა მიერ გრაკლიანში აღმოჩენილ ასო-ნიშანთა გამოსახულებები. მეცნიერთა აზრით ათივე ასო-ნიშანი არამეულია.

გრაკლიანის წარწერის საკითხით მეც დავინტერესდი, ვინაიდან 30 წელზე მეტია ქართული ანბანის წარმომავლობას ვიკვლევ. გრაკლიანის ასო-ნიშანთა ამოცნობაში დამეტმარა პროფ. ე. მაჭავარიანის წიგნი „მწიგნობრობა ქართული“ (1989წ.), სადაც წარმოდგენილია Vს-დან ქართულ წერილობით ძეგლებზე ასო-ნიშნების გამოსახულებათა დორში ცვალებადობა. ჩემი ყურადღება მიიქცია ქართული ასონ-ნიშნების ყველაზე ადრეულმა გამოსახულებებმა და აღმოვაჩინე, რომ



გრაკლიანის ასო-ნიშნები (ძვ.წ. XI-X სს)

1	ა	ც	წ	რ	ს	თ	მ	უ	ე	ბ	ასო.	10
2	ც	წ	რ	ს	თ	მ	უ	ე	ბ	ასო.	20	
3	წ	რ	ს	თ	მ	უ	ე	ბ	ასო.	ნახ.	2000	
4	ს	თ	მ	უ	ე	ბ	ასო.	ნახ.	ასო.	ასო.		
5	თ	მ	უ	ე	ბ	ასო.	ნახ.	ასო.	ასო.	ასო.	700	

გრაკლიანის ასო-ნიშნების პარალელები  
ნარმართულ ნირილობით ქაგლებზე (Vს-დან)

გრაკლიანის ასო-ნიშნებიდან ცხრა ქართული მხედრული ასო-ნიშანია, ხოლო ერთი – ასომთავრული.

გრაკლიანის წარწერაში სიტყვები არ იკითხება, მხოლოდ ათი ქართული ასო-ნიშანია გამოსახული. ამ სალოცავში ისინი წარმართული ქრისტიანობის „პერიოდში,,ხატების“ ფუნქციას ასრულებდნენ, რომლებიც არის მამა ღმერთის სიმბოლური გამოსახულებები.

### სტელა არმაზის ხევილან (ძვ.წ. 800წ.)

ქართველები შორეული წარმართული ქრისტიანობის დროს საკულტო ადგილებში სტელას ფორმის ქვებს განათავსებდნენ, რომელზედაც ქართულ ასო-ნიშნებს გამოსახავდნენ. ერთ-ერთი ასეთია არმაზის სტელა, რომელიც პირველად საკულტო დანიშნულების იყო; მეორედ ეს სტელა საფლავის ქვად წარწერისთვის გამოიყენეს, რაზეც მიანიშნებს არამეული და ბერძნული წარწერები; მესამედ უკვე დაახლ. I ს-ში სტელა საფლავის სარკოფავის ერთ-ერთი კედლის ადგილას იქნა გამოყენებული, რომლის დროსაც ორი ყურიდან ერთი ჩამოაჭრეს.

სტელას ზედა ნაწილში ვერტიკალურად გამოსახულია ორი ქართული ასომთავრული „S“ და „K“ ასო-ნიშანი. დარჩენილ ერთ ყურზე გამოსახულია ასევე „S“ ასო-ნიშანი, ხოლო მეორე ჩამოჭრილ ყურზე პ. ინგოროვას აზრით მეორე – „K“ ასო-ნიშანი ეწერა. ამას ადასტურებს მექსიკელთა საპოტეკების ღმერთის (ძვ.წ. I ათ.) თავს-აბურავის გამოსახულებაც (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012წ. გვ.60). კომუნისტების დროს არმაზის სტელა განთავსებული იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის პირველ სართულზე.

არმაზის სტელაზე ვერტიკალურად გამოსახული ორი ქართული ასო-ნიშანი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ხოლო „S“ ასო-ნიშნის თავზე გამოსახულია ვერტიკალური პატარა ხაზი – ქარაგმის ნიშანი, რაც მიგვანიშნებს, რომ ასო-ნიშნებით ციფრებია ასახული და წარმოაჩენს სტელას შექმნის თარიღს. ამ ასო-ნიშნების შესაბამისი ციფრები ქართულ ანბანში არის S-ჭ-5000 და ს-200, რაც ჯამში გვაძლევს ციფრს 5200.



სტელა არმაზის ხევილან (ძ.წ. 800 წ.)

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს მობრძანების თარიღად მიჩნეული იყო „ადამს აქათ“ ანუ „ქართულ ადამს აქათ“ 6000 წელი. შესაბამისად არმაზის სტელას შექმნის თარიღია ძვ. წ. 800 წ. ( $6000-5200=800$ ) (ნახეთ: ნ.ხ. ქართული წელთაღრიცხვები... 2018წ.).

არმაზის სტელას (ძვ.წ. 800წ.) ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი ადასტურებს, რომ ქართველები ჯერ კიდევ შორეული წარმართული ქრისტიანობის დროს ქართულ ასო-ნიშნებს სამდარის შემოქმედი მამა ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ, საკულტო აღგილებზე გამოსახავდნენ და თარიღის წარმოსაჩენად ციფრების აღგილას იყენებდნენ.

### დაგათის სტელა (ძვ.წ. 680წ.).

1984 წელს დუშეთის რაიონის სოფ. დავათის ხეთისმშობლის ეკლესიაში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვანო წიკლაურმა აღმოაჩინა კედელში ჩაშენებული წარმართობის პერიოდის სტელა, რომელიც ძირითადად სამშენებლო მასალად იყო გამოყენებული. მოგვიანებით ხელოვნებათმცოდნე გ. აბრამიშვილმა სტელაზე ამოიკითხა ქართული ასომთავრული ანბანის



დავათის სტელა (ძ. 6806)

37 ასო-ნიშანი. ამ პერიოდიდან დაწყებული დავათის სტელაზე ბევრი მეცნიერი და მკვლევარი მუშაობს. დღემდე ქვეყნდება გ. აბრამიშვილის, რ. რამიშვილის, რ. პატარიძის, ზ. ალექსიძის, გ. ნარსიძის და სხვათა მეტად საინტერესო ნაშრომები. დავათის სტელა მეცნიერებმა მიაკუთხნეს ახ.წ. VII საუკუნეს.

დღეისათვის, დავათის სტელასთან დაკავშირებით, ბევრ კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. მაგალითად: რას გვეუბნება სტელაზე გამოსახული ერთადერთი ციფრი 5320? რატომაა ასო-ნიშნები ექვს რიგად განლაგებული და ბოლოს, მეშვიდე რიგში „ომეგას“ ბადალი „ოპ“ („ოხ“) ასო-ნიშანი? რატომაა თითოეული სტროფი ჩაზნექილი და ამოზნექილი? რატომაა ქართული ანბანი თევზზე თავით ქვემოთ-ქრისტეს სიმბოლოზე დაწერილი? რატომ აქვს მთავარანგელოზ მიქაელს თვალები ოთხკუთხედად გამოსახული, ხოლო მთავარანგელოზ გაბრიელს წრიულად, როგორც ამავე სტელაზე ხვთისმშობლის თვალებია? რა წინასწარმეტყველებაა ჩადებული დავათის სტელას ხატწერაში?!

დავათის სტელაზე გამოსახული ხვთისმშობელი ფეხზემდგომია და გამოსახულია შარავანდედის გარეშე, ხოლო ქრისტე გამოსახულია მხოლოდ წელზემოთ. სტელაზე ანგელოზები სქესთაა გამოსახული – მარჯვენა მდედრია, ხოლო მარცხენა – მამრი.

დავათის სტელასთან დაკავშირებით აქ ჩამოთვლილი კითხვები-დან გამოვარჩიოთ და განვიხილოთ სტატიის თემასთან დაკავშირებული საკითხი: რას გვეუბნება დავათის სტელაზე ასახული ერთადერთი ციფრი 5320? სტელაზე გამოსახული 37 ასო-ნიშნიდან სამ ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშანს თავზე ქარაგმის პატარა პორიზონტალური ხაზი აქვს გასმული, რაც ციფრის მიმანიშნებელია: ჭ - 5000, ტ - 300,

**პ – 20,** რაც ჯამში გვაძლევს ციფრს **5320.** მეცნიერებმა კი დღემდე ვერ მოუძებნეს ახსნა თუ რას ნიშნავს და რაზე მიგვანიშნებს სტელაზე გამოსახული ერთადერთი ციფრი **5320.**

ვინაიდან დავათის სტელაზე იკითხება მხოლოდ ერთადერთი ციფრი **5320**, ეს უდაოდ მიგვანიშნებს სტელას შექმნის თარიღზე. ქართულებმა ძვ.წ. **6000** წელს ანუ **8000** წლის წინ დავიწყეთ „ქართულ ადამს აქათ“ წელთაღრიცხვის ათვლა (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული წელთაღრიცხვები..., 2018წ.). თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტეს მობრძანების თარიღად მიჩნეული იყო „ადამს აქათ“ ანუ „ქართულ ადამს აქათ“ **6000** წელი, მაშინ **5320** არის ძვ.წ. **680წ.** (**6000-5320=680**).

დავათის სტელა რომ უძველესი წარმართული ქრისტიანობის ძვ.წ. **680** წლის ძეგლია, ამას გვიდასტურებს მისი იკონოგრაფიული ანალიზი. დავათის სტელასთან დაკავშირებით ყველა კითხვაზე პასუხს შევიძლიათ გაეცნოთ პუბლიკაციაში „დავათის სტელა ქართული ანბანით და მისი პარალელები ჩინეთის „დაო“-ს კოსმოგენიურ ფილოსოფიასთან“ (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012წ. გვ.113).

დუშეთის რაიონის სოფ. დავათში აღმოჩენილი სტელა ქართული ანბანით იკონოგრაფიული ხატწერითა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობით სრულად ემთხვევა ძველი ცივილიზაციების – ჩინეთის, შუმერის და მაიას ტომების წინაპართა მსოფლმხედველობას სამყაროს გენეტიკური კოსმიური პროცესების შესახებ.

ჰექსაგრამებია გამოსახული დავათის სტელაზე (ძვ.წ. **680წ.**) და სოფ. გრაკლიანის ნამოსახლარის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ დაახლ. **7000** წლის თიხის ჭურჭლის ნატეხებზე (ძვ.წ.V-IV ათასწლ.). მაშინ, როცა ჩინური კაბალას – „იძინი“-ს წარმოშობას ჩინელები სულ რაღაც **5000** წლის წინ მოღვაწე ლეგენდარული მეფის „ფუ სი“-ს სახელს უკავშირებენ. ჩინური კაბალას ცოდნა ქართული ფენომენია და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

ქართველთა შორეული წინაპრები სამყაროს ცვალებადობის კოსმიურ პროცესს არა მხოლოდ ექვსი სახით გამოსახავდნენ, არამედ თითოეულ ხაზზე განალაგებდნენ გარკვეული რაოდენობის გარკვეულ

ქართულ ასო-ნიშნებს. ჩინური კაბალას – „იძინი“-ს კოსმოგონიურ აზროვნებას მთლიანად ქართული ფესვები აქვს.

დავათის სტელა ადასტურებს, რომ სამყაროს გენეტიკური ცვალებადობის კოსმიურ პროცესში მნიშვნელოვანი აღვილი უკავია ქართულ ანბანს, რომლებსაც ქართველები წარმართული ქრისტიანობის პერიოდში სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ და ძვ.წ. 680 წელს ციფრებს ქართული ასო-ნიშნებით გამოსახავდნენ.

ჯერ კიდევ 35 წლის წინ მომეცა უნარი ავადმყოფი ადამიანების დიაგნოსტიკის და მკურნალობის. ჩემს ფენომენს რამოდენიმე წელი იკვლევდა ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯვეფი პროფ. აილი პაიუს ხელმძღვანელობით. ავადმყოფის დიაგნოსტიკის მომენტში დავადებული უჯრედებიდან მხოლოდ ქართულ ენაზე დასმულ კითხვებზე მხოლოდ ქართულ ენაზე ვღებულობ უჯრედებიდან „პასუხს“ ელექტრო-მქანიზური იმპულსების სახით, რომელიც მორჩეს ანბანის მსგავსია და მათი ხმა ოთახში მყოფ ავადმყოფსაც და მის ახლობლებსაც ესმით. ეს იმპულსები ინფორმაციის შემცველია და ჩემს გონებრივ აპარატში იშიფრება. არაერთხელ მივმართე ქართველ ფიზიკოსებს, რათა ავადმყოფის ორგანიზმიდან გამოსული და ჩემთან მოსული ეს ელექტრო-მაგნიტური იმპულსები დაგვეფიქსირებინა და შეგვესწავლა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა ნებისმიერ მიკრო თუ მაკრო სამყაროსთან, კოსმოსის ნებისმიერ ციურ სხეულთან ინფორმაციული კაშირის დამყარება, მაგრამ უშედეგოდ – მეცნიერები დღეს არ არიან შეად ამ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერიმენტების ჩასატარებლად.

ზოგჯერ მაქვს ინფორმაციული კონტაქტი გარდაცვლილ ადამიანებთან და ეს ხდება მხოლოდ ქართულ ენაზე. როგორც მიხეილ ცაგარელი მოგვითხრობს უცხოპლანეტელებიც ქართულ ენაზე აზროვნებენ და საუბრობენ. ვანგას სიტყვებით „კოსმოსი ქართულ ენაზე ლაპარაკობს“.

სამყაროში ყველა და ყველაფერი ცოცხალია და აზროვნებს, შეუძლიათ ინფორმაციის მიღება, შენახვა, გადაცემა და ეს ყველაფერი ერთ ენაზე – მხოლოდ ქართულ ენაზე ხდება.

შუმერთა მითოლოგით, რომელთა წინაპრებიც ქართველები არი-

ან, იყო დრო, როცა დედამიწაზე ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი მხოლოდ კაცთა გენეტიკური მოდგმის ხალხი ცხოვრობდა და ერთ ღმერთს ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ადიდებდა.

სამყარომ უნდა დაიბრუნოს ის კოსმიური მდგომარეობა, როცა ყველა და ყველაფერი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ქართული ენა არის ქვეცნობიერი აზროვნების ენა. იქნება უსიტყვო საუბარი ადამიანებს შორის, წაიკითხავენ ერთმანეთის აზრებს. აღარ იქნება საჭირო დამწერლობა, განათლება, ყველას ყველაფერი ეცოდინება. ადამიანების, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური შესაძლებლობები იქნება უსაზღვრო. ადამიანი დაიწყებს კოსმოსში გადაადგილებას აზრის გავრცელებისა და მხედველობითი აღქმის სიჩქარით. აღარ იარსებებს ტყუილი და დანაშაულის ჩადენის მიზზი, ყველაფერი ექნებათ, რასაც მოისურვებენ. ხალხი იქნება ზნემაღალი. მათ შორის იქნება უდიდესი ჰარმონია და თანხმობა. თავს იჩენს ახალი, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ურთიერთობები, რომელიც დამახასიათებელი იქნება ახალი ცივილიზაციისთვის.

ბრიტანეთის რიდინგის უნივერსიტეტის ბიოლოგმა მარკ პეგელმა აღმოაჩინა, რომ ქართული ენა პირველსაწყისია და ბაბელონის გოდოლამდე ხალხი ამ ენაზე ლაპარაკობდა, რაც ჩვენი ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მსოფლიოს აღმოსავლეთი ოდითგანვე საქართველოს და ქართველებს გურჯისტანს და გურჯებს გვიწოდებს, რაც „33 წლის მარადქალწულს“ და „სამოთხეს“ ნიშნავს. საქართველო არა მხოლოდ ხეთისმთბლის წილხვედრი ქვეყანაა, არამედ შუმერთა ქალღმერთ ინანას „სამკვიდრებელი“ და სამშობლოა. შუმერები (ძვ.წ. VI ათ.) კავკასიონან წასული ქართველი ხალხია (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.).

ქართული გენი მარადიული და უკვდავია. ყოველი ცივილიზაცია კავკასიაში ქართული გენით იწყება და მთავრდება. საქართველო არის შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“, „დიდებულ წესთა ქვეყანა“ – „არათა“. საქართველო და კავკასია არის რამას არიული რასის – პირველსაწყის ადამიანთა მოდგმის და მექსიკელთა „კუალკოატ-

**ლის“** სამშობლო – „ამომავალი შზის ქვეყანა“. ამომავალი შზე თვითონ „სამოთხე“ – ხვისმშობელი და სამყაროს დედაა.

ქართული ენა არის ენა სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნებისა, ის არის ენა ყოველი არსისა. ღმერთი ქართულ ენაზე მართავს და განავებს სამყაროს.

სინურ მრავალთავში გვაქვს ქართველ წინაპართა უმნიშვნელოვანესი წინასწარმეტყველება: „მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე (ქართულ ენაზე) განიკითხავს და ამხილებს ქვეყანას“. აქედან გამომდინარე, თუ ქართული ენა ბოლო უამის და უფლის ენაა, მაშინ ის პირველი უამის ენაც ყოფილა, ვინაიდან სამყაროში ყველა და ყველაფერი პირველსაწყისს უბრუნდება. ამას ადასტურებს კაბალას ბიბლიური კოსმიური ცოდნაც, რომელიც მსოფლიოში არსებული ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანშია გაცხადებული. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს იოვანე-ზოსიმეს „ქება ვ“-ს ტექსტიც: „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ბიბლიური კაბალას ცოდნაში დიდია ქართული წარმართული ქრისტიანობის კვალი. ვინაიდან დღევანდელმა ქრისტიანობაშ თითქმის ყველაფერი წარმართული ქრისტიანობიდან აიღო, აუცილებელია შევიმეცნოთ ქართული წარმართული ქრისტიანობა, რათა დავიბრუნოთ ქართველთა შორეული წარმართობის პერიოდის კულტურული მემკვიდრეობა.

კაბალა არის პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს გენეტიკური მოწყობის შესახებ დაწყებული უჯრედიდან მეგა სამყაროს ჩათვლით, რომელიც წარმოჩენილია უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში. კაბალას ცოდნა სამყაროს ნებისმიერ უჯრედში გენეტიკური დნმ-ის დონეზე „განსხეულებული“. კაბალას ცოდნა მსოფლიოს ყველა ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. სამყაროს შემოქმედი ღმერთი ქართული ანბანის სახით ყველაფერშია და ყველაფერი მასშია. თუ მსოფლიოს მეცნიერები ქართულ ანბანს და ქართულ ენას ამ კუთხით შეისწავლიან, კაცობრიობა ახალი დიდი აღმოჩენების წინაშე დადგება.

ღმერთმა ჯერ შექმნა ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენე-

ტიკური კოდი და ამის საფუძველზე შეიქმნა სამყარო.

ახლო მომავალში მეცნიერები უჯრედის გენეტიკური კოდის სპი-რალებში ქართული ანბანის ასო-ნიშნებს ამოიკითხავენ. ეს ყველაფერი არის ადამის ცივილიზაციის ქართულ-იბერიული გენის საფუძველი. ამიტომ ნებისმიერი საკითხის შესწავლისა და განხილვის დროს, რომელიც ეხება ძეგლ ცივილიზაციებსა და სამყაროს შემცნებას, პირველსაწყისი ამოსავალი ქართული ცნობიერება, ქართული ენა და ანბანი, ქართული მითოლოგია, ეთნოგრაფია და არქეოლოგიური მასა-ლა უნდა გახდეს. დღეს მსოფლიო ამ კუთხით საქართველოს, როგორც პირველსაწყისი გენის მატარებელ ერს, არ იცნობს. მალე ამ საკითხ-ების გასაცნობად მსოფლიოს ხალხები საქართველოში ჩამოვლენ.

ქართველებმა ქართული ანბანის მიხედვით განსაზღვრეს, რომ ადამის ცივილიზაციის ბოლო **10000** წლიანი ციკლი დაიწყო **8000** წლის წინ. მას ქართველი ადამი უწოდეს და აქედან დაიწყეს „ქართულ ადამს აქათ“ წელთაღრიცხვის ათვლა. ქართველებმა იცოდნენ, რომ **7600** წლის წინ მოხდა „წარღვნა“. მას „ქართული დასაბამი“ უწოდეს და აქედან დაიწყეს „ქართული დასაბამითგან“-ის ათვლა. ასევე **7600** წლის წინ ქართველებმა დაიწყეს „ქორონიკონის“ **532** წლიანი ციკლების ათვლა. სამივე ქართული წელთაღრიცხვა ზედმიწევნით ზუსტად აისახება ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდში დროში გაწერილი კოსმიური პროცესი. ქართული წელთაღრიცხვების შესახებ 144 გვერდიანი ნაშრომი, რომელსაც ერთვის **100**-მდე უძველე-სი ისტორიული ხელნაწერი და XVIII-ის პირველნაბეჭდი დოკუმენ-ტური მასალა, წარვადგინე კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოში, რათა ედიარებინათ, როგორც ქართველი ერის კულტურული მემკვი-დრეობა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო დონეზე, რაზეც მივიღე უარი. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ამ ნაშრომში წარმოდგე-ნილი კაცობრიობისთვის დიდად დირსეული ისტორიული ფაქტობრივი მასალა აუცილებლად მოიპოვებს საერთაშორისო აღიარებას.

შორს არ არის ის დრო, როცა ჩემი კვლევების საფუძველზე ქართ-ველი ხალხი და ქართველი სამეცნიერო საზოგადოება საჯაროდ აღი-არებს ქართული ენის და ქართული ანბანის ზოგადსაკაცობრიო დირებ-

ულებებს და შექმნის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანს – ქართული ენის და ქართული ანბანის მუზეუმს, სადაც მთელი სიცხადით წარმოჩინდება: ჩინეთის, ეგვიპტის, შუმერთა და ევროპელთა კაბალას მეტაფიზიკური ცოდნა, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში, როგორც სამყაროს გენეტიკურ კოდშია გაცხადებული; ქართულ ანბანში ასახული ქართული წელთაღრიცხვები „ქართულ ადამს აქათ“ **8000** წელი, „ქართული დასაბამითგან“ ანუ „წარღვნიდან“ და ქართული ქრონიკონით **7600** წელს; ქართულ ანბანთან და ენასთან დაკავშირებულია გამორჩეულად იშვიათი და მეტად საინტერესო კვლევები – პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა სამყაროს გენეტიკური მოწყობის შესახებ ქართველთა და მსოფლიოს უძველეს ხალხთა მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიურ სიმბოლიკაში.

საქართველოს პათოლიგოს აათონიარეთი 0401 II შართული ენის შესახებ ამბობს: „ქართული ენა არის ჩრდა და უნაპირო, მასში მთელი საქართველო, ზეცაა მისი საყიდეის!“

## **სამყაროს შემოქმედი ფინდა სამების სამშობლო პავპასია და საქართველო**

მსოფლიოს უძველეს ხალხთა და განსაკუთრებით ქართველთა მითოლოგიის ეთნოგრაფიის და არქეოლოგიური ძეგლების მრავალწლიანი მრავალმხრივი შესწავლისას, სადაც აისახება მეტაფიზიკური ცოდნა მრავალგანზომილებიანი სამყაროს მოწყობის შესახებ, არაერთხელ მიიქცია ჩემი ყურადღება იმან, რომ ჯერ კიდევ პირველმა ადამიანებმა კარგად იცოდნენ, თუ სად იყო სამყაროს შემოქმედი წმინდა სამების „სამშობლო“ და „სამკვიდრებელი“ ქვეყანა დედამიწაზე.

პირველად დედამიწაზე ღმერთები ცხოვრობდნენ, შემდეგ ნაწილი ცაში ავიდა, ნაწილი დედამიწაზე დარჩა. ღმერთმა თავის მსგავსად და ხატად შექმნა პირველი ადამიანები – ქართველები. რომელთა სხეულებში გენეტიკურად ცხოვრობენ ქართველთა ღვთისშვილები. ეს საკითხი დასტურდება კაბალას ცოდნით, სადაც დროში გაწერილია გენეტიკური ცოდნა ქართველი ადამიანის განვითარების შესახებ ჩასახვიდან სიცოცხლის ბოლომდე, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია (ეს საუბრის დიდი თემაა).

### **გამა ღმერთი – სამყაროს შემოქმედი სამების მრთაწსი უზარესი ღმერთი.**

პირველ ადამიანთა ცოდნა – კაბალა მამა ღმერთს, როგორც სამყაროს შემოქმედი სამების ერთარსს, წარმოაჩენს „ა – ან – 1“ ასო-ნიშნით, რომელიც თავის მხრივ ქმნის სამების მეორე და მესამე წევრებს.

შუმერთა რწმენა – წარმოდგენებით, რომელთა წინაპრები ქართველები არიან (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013 წ.), პირველად ცა და მიწა ერთიანი იყო, რომელიც პირველქმილი ოკეანისგან წარმოიქმნა. შემდეგ „ან“ ცის ღმერთმა „ცა“ წაიღო, ხოლო „კი“ – მიწის ქალღმერთმა წაიღო მიწა. „ცა“ და „მიწა“ განაშორა პაერის ღმერთმა. ზოგი ღმერთები ცისა და მიწის გაყოფამდე არსებობდნენ.

ძვ.წ. III ათ. შუმერში რამოდენიმე ასეულ ღმერთს სცემდნენ თაყ-

ვანს. ამ უთვალავ ღმერთთაგან უმთავრესი იყო ოთხი: ცა – ცეცხლის ღმერთი „ანი“, ჰაერის ღმერთი „ენლილი“, „ენ“ წყლის ღმერთი და „კი“ მიწის ქალღმერთი. ღმერთები ცხოვრობდნენ ცისა და მიწის წმინდა მთაზე, საიდანაც მზე ამოდის.

ყველაზე ბრძენი და ძლევამოსილი ღმერთიც კი გარეგნობით, აზროვნებით და ქცევით ადამიანს ჰეგდა. ღმერთები ადამიანთა მსგავსად წინასწარ ადგენდნენ მოქმედებების გეგმას, ჭამდნენ, სვამდნენ, ქორწინდებოდნენ, ქმნიდნენ ოჯახს, დიდი მეურნეობები ჰქონდათ. ძალადობაზე ძალლა სამართლიანობას აყენებდნენ. ყველა ისინი იყვნენ უკვდავებით და ზეადამიანური სიძლიერით დაჯილდოებულნი, თვალთაგან უხილავნი, ემორჩილებოდნენ მამა ღმერთს და მის მეერ წინასწარდასახული გეგმის მიხედვით დაწესებული მტკიცე და ურყევი კანონებით განაგებდნენ და მართავდნენ სამყაროს. ამ ღვთაებრივ კანონებს შუმერი „მე“-ს „ღვთაებრივი სჯულდებები“-ს სახელით მოიხსენიებს, რომელიც ჩემი კვლევებით არის შუმერული კაბალა და უდიდესი სიზუსტით მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

შუმერებს ჰქონდათ რწმენა ღვთაებრივი სიტყვის ძალაზე. საკმარისი იყო ღმერთს რაიმე ჩაეფიქრებინა ან წარმოეთქვა, რაც უკავშირდება ანბანს, ბგერას, სიტყვას. მათ ჰყავდათ „ან“ ცის ღმერთი, „ენ“ წყლის ღმერთი, თუმცა მათ არ ჰქონდათ ქართული ანბანი. შუმერთა ქვის ბეჭდებზე ასახულია ქართველთა ღვთისშვილები და ქართული მითები, მაგრამ ეს კოსმიური ინფორმაცია შუმერთა დღემდე მოღწეულ მითებში სრულიად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ეს და კიდევ ბევრი სხვა რამ ადასტურებს, რომ შუმერთა წინაპრები ქართველები არიან.

პირველ ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებით ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით, რომელიც წარმოდგენილია კაბალას ცოდნაში.

ღმერთი ამბობს: „მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა), პირველი და უკანასკნელი – საწყისი და სასრული“ (გამოცხ. იოვ. 22, 13). რომელია ეს ანბანი? – ჩემს ხილვებში ღმერთთა სამყოფელში მამა ღმერთს

— თეთრ ცხენზე მჯდომ კოსმიურ მხედარს — თეთრ გიორგის ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები თავზე გვირგვინად ადგას, ხოლო მხედრული ასო-ნიშნები შუბლზე აწერია. აქედანაა ქართული ანბანის სახელები „ასომთავრული“ (თავრული) და „მხედრული“. მამა ღმერთი თვითონ არის ქართული ანბანი, იგი ქართულ ენაზე მართავს და განაგებს სამყაროს. (ეს საუბრის დიდი თემაა).

კაბალას ცოდნის მიხედვით ქართული ანბანის თითოეულ ასო-ნიშნის არსთა წრებრუნვის კოსმიური პროცესი შეესაბამება, რომელიც გამომდინარეობს წინა ასო-ნიშნის კოსმიური პროცესიდან, რასაც ექვემდებარება სამყაროში ყველა და ყველაფერი დროის იმ ფარდობითობით და ხანგრძლივობით რა ციფრიც წერია მის გვერდით ანბანში და ქმნის გენეტიკური ცვალებადობის კოსმიური პროცესის უწყვეტ ერთიან ჯაჭვს. კაბალა არის პირველ ადამიანთა ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე.

არსებობს ეგვიპტურ — ებრაული კაბალა „ტაროს არკანები“, ჩინური კაბალა — „იძინი“, ევროპელთა „რუნები“, შუმერთა „მე“-ს „ღვთაებრივი სჯულდებები“. ყველა ისინი მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება და ოდესლაც კავკასიიდან — აღმოსავლეთი საქართველოდანაა გატანილი, რომელსაც ოდითგანვე კაბალა ერქვა. აქ ღლესაც არის სოფ. „კაბალი“ და მდინარე „კაბალი“.

კაბალას ცოდნის მიხედვით სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთი — „ან“ ცის ღმერთი „ცისა და მიწის მბრძანებელი და მეუფე“, იგივე ქართველთა თეთრი გიორგი, ქმნის წმინდა სამებას, რომელიც სამყაროში ქმნის ყველაფერს წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით.



თათრი გიორგი

არსთა წრებრუნვის კოსმიურ სურათში სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთი მრავალსახაა, რომელებიც ერთმანეთშია ჩასმული. მისი ერთ-ერთი სახეა ახალგაზრდა, უწვერულვაშო, თეთრ ცხენზე – ბედის ბედაურზე ამხედრებული და ზეციურ სამყოფელში მარცხნივ – კოსმიური აღმოსავლეთისაკენ მიმართული ქართველთა თეთრი გიორგი გულზე დიდი ჯვრით. ცხენის კუდი ისევეა გამონასკული, როგორც ხატებზეა ასახული.

ჩემს მიერ მოძიებულია მარცხნივ მიმართული თეთრი გიორგის ხატის არაერთი გამოსახულება: თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესის კედელზე, ქაშუეთის ეკლესის შესასვლელ კართან, ბაგრატიონთა სამეფო დროშაზე და გერბზე, ერთ დროს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მდგომ პატრიარქის ტახტის საზურგეზე, 1989 წელს დაბეჭდილ ბიბლიაზე გამოსახულ საქართველოს საპატრიარქოს ბეჭედზე – გერბზე.

მამა ღმერთი – ქართველთა კოსმიური მხედარი თეთრი გიორგი მსოფლიოს უძველესი ხალხების და ქართველთა არქეოლოგიურ ძეგლებზე ქართული ასო-ნიშნების სახითაა წარმოდგენილი.

მამა ღმერთის 64 სახე-გამოვლინებაა ქართველთა 64 ღვთისშვილი, რომლებიც არიან ნახევარლმერთები და მორიგეობით ებრძვიან ჭინკებს, ქაჯებს და დევებს ცეცხლის სტიქიის ქალღმერთის მოსაპოვებლად, რომელიც არის ღვთისშვილთა მეორე ნახევარი ღმერთი. ხვთისშვილები არიან მარადიულნი, უკვდავნი, ბერები, მორიგეობით არიან ბედის ბედაურის მფლობელები, სამყაროს ძირითადი შემოქმედი, რაც უჯრედების ღნმ-ის გენეტიკურ სპირალებში 64 ნუკლინის მჟავას სახით აისახება.

ქართული მითოლოგიით ქართველთა ღვთისშვილები ღმერთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანების – ქართველების სხეულებში ცხოვრობენ. ისინი არიან დედამიწაზე პირველსაწყისი არიული თეთრი რასის ხალხი, რომლებიც ერთ ღმერთს ერთ ენაზე – ქართულ ენაზე ადიდებენ.

ქართველი ერის ღვთაებრივ წარმომავლობაზე საუბრობს გენოფონდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდიგანი პროფ. რამაზ

შენგელია: „მსოფლიოს ხალხები გენეტიკურად ორ დიდ ჯგუფად იყო-ფა. დღემდე გავრცელებულია ორი თეზი: ქართველების უაღრესი გენეტიკური სიწმინდისა და პირიქით, ე.წ. ნარევი ერის შესახებ.“ ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ღმერთის მიერ თავის ხატად და მსგავსადაა შექმნილი „უაღრესი გენეტიკური სიწმინდის“ ქართველი ერის ხალხი, ხოლო „ნარევი ერი“ არის ღმერთან დაპირისპირებული სემიტური რასის ხალხი, რომელიც სულ რაღაც 5700 წლის წინ გაჩნდა დედამიწაზე (ნახეთ: ნ.ხ. – კოლხეთი ისტორიული ასურეთია და არა საქართველო, 2020წ.).

სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთი მსოფლიოს ყველა უძველესი ცივილიზაციის ხალხს „ბერის“ – თეთრწვერა მოხუცის სახით ეცხადებოდა, რომელსაც ბერის სამოსი აცვია და გულზე დიდი ჯვარი ჰქიდია. ამიტომ მის მიერ შექმნილ ცივილიზაციას „იბერიის“ ცივილიზაცია უწოდეს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითვანვე „იბერია“ ერქვა.

მსოფლიოს აღმოსავლეთის ხალხებს ჰყავდათ უზენაესი ღმერთი „ტენგრი“, რომელსაც კოსმიური მხედარის სახით მარცხნივ მიმართულს გამოსახავდნენ. ამერიკის უძველესი ტომებიც კი კოსმიურ მხედარს – თეთრწვერა მოხუცს სცემდნენ ტაყვანს, თუმცა მათ მამაკაცებს წვერი არ ჰქონდათ, ცხენი არასოდეს ენახათ და ღმერთების ტავსაბურავებზე ქართულ ასო-ნიშნებს გამოსახავდნენ. თეთრწვერა მამა ღმერთის აღქმა გამოცხადებით მიღებული კოსმიური ინფორმაციაა.

მამა ღმერთი თვითონ არის ქართული ანბანი. მისი თაყვანისცემის ნიშნად ქართველები, ჯერ კიდევ შორეული წარმართობის დროს, საკულტო ადგილებზე ქართულ ასო-ნიშნებს გამოსახავდნენ: გარეჯი (2,5 მილიონი წელი), გრაკლიანი (ძვ.წ. XI-XIII.), არმაზის სტელა (ძვ.წ. 800წ.), დავათის სტელა (ძვ.წ. 680წ.).

მსოფლიოს ხალხები ჯერ კიდევ უძველესი წარმართობის პერიოდიდან საქართველოს მამა ღმერთის – თეთრი გიორგის სამშობლო ქვეყანად მოიაზრებდნენ და „ჯორჯია“-ს ანუ „გიორგია“-ს უწოდებდნენ.

ახალ აღქმაში ცეცხლის სტიქიის – ბოლო უამის ღმერთი შემ-

დეგნაირადაა აღწერილი: „მისი თვალები ცეცხლის აღია, მის თავზე მრავალი გვირგვინია (ეს ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებია), აცვია სისხლში ამოვლებული სამოსელი. მისი სახელია: ღმერთის სიტყვა, სიმართლით ასამართლებს და იბრძვის. მის სამოსელზე აწერია სახელი: მეფეთ მეფე და უფალთ უფალი. მას თან ახლავს თეთრ ცხენებზე ამხედრებული თეთრი სამოსელით შემოსილი ზეციური ლაშქარი“. (გამოცხ. იოვ. 17,14;19,12).

ქართული მითოლოგიის ბოლო 64-ე ღვთისშვილი არის დობილიანი იახსარი, იგივე თეთრ ცხენზე ამხედრებული ცეცხლის სტიქიის ღმერთი, რომელსაც ქართველები წარმართობის თეთრი გიორგის სახელით მოვიხსენიებთ. ხოლო შუმერები მას ქვის ბეჭედზე (ძვ.წ. 3400წ.) თევზის ზოდიაქოს ბოლოს IV – ორსახა ცეცხლის სტიქიის ღმერთის სახით გამოსახავდნენ – ერთი სახე ქალია, მეორე თეთრწვერა მოხუცია. ეს დრო შესაბამება ახ.წ. 2000 წელს, რომელიც კაბალას ცოდნით ქართული ანბანის „ჯ“ – 8000 ასო-ნიშნის კოსმიური პერიოდის შესატყვისია, რაც „ქართული დასაბამითგან (წარღვნიდან) არის 7600 წელი, ხოლო „ქართულ ადამს აქათ“ – 8000 წელი. ეს არის ბოლო ჟამის დასაწყისი, რომელიც გაგრძელდება 2000 წელი – ახ.წ. 4000 წლამდე ანუ „ქართულ ადამს აქათ“ 10000 წლამდე, რის შემდეგაც კაციობრიობის მხოლოდ მარადიული ჟამის ქართული გენის ხალხი გადავა მომდევნო ცივილიზაციაში – სხვა დროსა და სივრცეში, სადაც აღარ იქნება სიკვდილი. ასე დასრულდება დედამიწაზე იბერიის ცივილიზაციის კიდევ ერთი 10000 წლიანი ციკლი.

ეოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ სამყაროს შემოქმედი ქრისტიანული სამების პირველი წევრის – მამა ღმერთის სამშობლო ქვეყანა კავკასია და საქართველოა. მან თავის ხატად და მსგავსად შექმნა მხოლოდ ქართველი ხალხი. მამა ღმერთი გენეტიკურად და ეროვნებით ქართველია. იგი ქართულ ენაზე აზრებით მართავს და განაგებს სამყაროს. X ს-ის იერუსალიმის საბაწმინდის ლავრის და სინას მთის ქართველი ბერების წინასწარმეტყველებით „ბოლო ჟამს ღმერთმა ქვეყანა ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს“.

## სულიონინდა – სამყაროს შემოქმედი მინდა სამხათ მეორე წევრი.

პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს გენეტიკური მოწყობის შესახებ – ბიბლიური კაბალა, წარმოაჩენს ინფორმაციას, რომ მამა ღმერთის შემდეგ სამყაროს მოევლინება დედა ქალღმერთი – სულიწმინდა. მაშასადამე, კაბალას ცოდნის მიხედვით წმინდა სამების მეორე წევრად ითვლება სამყაროს დედა ქალღმერთი – სულიწმინდა, რომლის სამშობლო და სამკიდრებელი ქვეყანა კავკასია და საქართველოა. ამას ადასტურებს ქართველთა, შუმერთა, მექსიკელთა და მსოფლიოს სხვა ხალხების მითოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგიური მასალების კვლევები, საიდანაც წარმოვაჩინოთ საკითხი, რომელიც ეხება წმინდა სამების მეორე წევრს, სამყაროს დედა ქალღმერთს – სულიწმინდას.

შუამდინარეთში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს 5400 წლის თიხის ფირფიტა, რომელზედაც 600 სტრიქონად დაწერილია მითი „ენმერქარი და არათას ბატონი“. ამ მითის მიხედვით სამხრეთ შუამდინარეთში იყო ქალაქი ურუქი, რომლის ჩრდილოეთით, შვიდი მთაგრეხილის იქით მდებარეობდა არათას ქვეყანა, სადაც „მკვიდრობდა“ შუმერთა ქალღმერთი ინანა. მისი დავალებით „არათას წმინდა მიწიდან“ ჩაიტანეს ურუქში ოქრო, ვერცხლი, ლილაქება და სხვა ძვირფასი ქვები, რითაც ქურუმმა ენმერქარმა ააშენა და შეამკოშუმერთა მიწა-წყლის ღმერთის ენკის ტაძარი. ქალღმერთ ინანას ბრძანებით არათას წმინდა მიწაზე ადგილზე დაამზადეს ოქროს ნაკეთობები,, რომლებიც როგორც დიდი სიწმინდეები დააბრძანეს ურუქში ენმერქარის მიერ აშენებულ ტაძარში.



ეგვიპტი. ისილა  
(ძ. 6. 4-2 სს.)

„არათას“ ქვეყანა ქართველთა უძველესი რანთა და არანთა ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს 5400 წელზე ადრეული საყდრისის ოქროს საბადო; საიდანაც აღებული ოქროს სინჯი ემთხვევა შუმერთა ოქროს ნაკეთობებს მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებიდან, რაც ადასტურებს შუმერთა „ენმერქარი და არათას ბატონი“-ს მითის ნამდვილობას. (ნახეთ: ნ. ხ. ჟურ. პოროსკოპი+რევიუ, 2019წ. №3 გვ. 23 – „არიული თეთრი რასა ქართველები და საქართველოა“.)

შუმერთა მითის მიხედვით „არათას“ ქვეყანა არის შუმერთა კაბალას „წმინდა წესების“ – „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ (სჯულდებების) უძველესი ცოდნის სამშობლო ქვეყანა – საქართველო. (ნახეთ: ნ. ხ. ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012წ. გვ. 304)

შუმერთა კაბალას – „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ ცოდნა ქართული ფენომენია და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. მითების მიხედვით შუმერად არათას ქვეყანა და ხალხი ანუ საქართველო და ქართველი ხალხი მოიაზრება. იმ პერიოდში „შუმერის მხარე ტკბილ-მეტყველი, დიადი ქვეყანა დიდებულ წესთა, ერთ ღმერთს ერთ ენაზე ადიდებდა“ და ეს იყო ქართული ენა.

შუმერთა ქალღმერთი ინანა მითებში მოიხსენიება როგორც „ბევრეულ წესთა დედოფალი“ ანუ შუმერული კაბალას „მე“-ს „ღვთაებრივი სჯულდებების“ „კოსმიური გენეტიკური პროცესის „დედოფალი“, „წმინდა ქალწული“, „წმინდა ინანა“, „სამყაროთა ცისა და მიწის დედოფალი“. მას ასევე წმინდა გულის ქალღმერთს უწოდებდნენ, რომლის „სახლი და განსასვენებელი“ ანუ სამშობლო და სამკვიდრებელია არათას ქვეყანა – კავკასია და საქართველო. თვით ქალღმერთ „ინანა“-ს (ინ-ან-ა) სახელი ქართული ანბანის „ინ“ და „ან“ ასო-ნიშანთა სახელდებებისგან შედგება (ეს საუბრის ცალკე თემაა).

ქრისტიანული სწავლებით საქართველო არის ასევე მარად ქალწულის – ღვთისმშობლის წილზედრი ქვეყანა. ქრისტე სულიწმინდას თავის დედად მოიხსენიებდა.

მექანიკელთა წინაპრების ღმერთის კეცალკოტლის სამშობლოა „ამომავალი შზის ქვეყანა“. ღმმრთითა სამყოფელში ამოგაგალი

მზე თვითონ სამყაროს დედა ქალღმირთია ხელში ჩვიაუბრივი გამოშვილი, რომელსაც თაგზე აღგას მზის დისპო და მიმდინარება თეთრ ცხვნზე ამხმდრებული თვითონ გირაბისძენ. ჩემს ხილვებში ამ ქალღმერთის გამოსახულება ემთხვევა ეგვიპტელთა ქალღმერთი იზიდას გამოსახულებას ხელში ხვთაებრივი ბავშვით და თავზე შეის დისკოთი.

ზემოთ განხილული მასალა ადასტურებს, რომ სამყაროს და ღმერთების დედის – სულიწმინდის სამშობლო და სამკვიდრებელი ქვეყანა კავკასია და საქართველოა, რომლის მიწა-წყალი, ქართული გენი და ქართველი ხალხი ოდითგანვე ითვლებოდა სამყაროს დიდი დედის – ხვთისმშობლის წილხვდომილად, წმინდა მიწად, სამოთხედ, ამიტომ მსოფლიოს ხალხები დღემდე გვიწოდებენ „გურჯებს“, რაც ნიშნავს 33 წლის მარადქალწულს და სამოთხეს. (Мифы народов мира, 1980г. т.1. ст.341 – Гурии).

**ძრისტე – სამყაროს შემოქმედი ფმინდა სამების მესამე წუბრი, იმიგე ქართველთა პგირია – ბურთა ბაბაღური.**

პირველ ადამიანთა ცოდნა სამყაროს გენეტიკური მოწყობის შესახებ – ბიბლიური კაბალა, რომელიც ქართული ფენომენია და მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება, წარმოაჩენს ინფორმაციას, რომ სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთის და დედა ქალღმერთის – სულიწმინდის შემდეგ სამყაროს მოევლინება წმინდა სამების მესამე წევრი.

ჩემი კვლევებით ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის პირველსაწყისი, მარადიული და საყოველთაო რელიგიაა (ნახეთ: ნ.ხ. – ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან, 2012წ., გვ. 361), სადაც, ზემოთ განხილულის მიხედვით, სამების მესამე წევრად ქრისტე – ძე ღმრთისა ითვლება, რომელიც სამყაროს შემოქმედ დედასთან და მამასთან ერთად იყო ჯერ კიდევ უწინარეს ყოველთა საუკუნეთა ე.ი. ვიღრე სამყარო ღროსა და სივრცეში განსხვეულდებოდა.

ქრისტე ქართულ მითოლოგიაში წარმოდგენილია წყლის ბერის-ბუქნა ბააღურის – კვირიას სახით. ამას უკავშირდება ქრისტიანთა ნათლობის და წყლით კურთხევის ქრისტიანული ტრადიცია. ქრისტე

ქართველთა კვირია – ბუქნა ბაადური თვითონ არის წყლის სტიქიის ღმერთი, რომელიც განაგებს მიწიერ და ზეციურ წყლებს. მას მამის მარჯვნივ კარავი აქვს გაშლილი და სამწერლობო აქვს მოწყობილი, სადაც გადაშლილი აქვს ბედისწერის წიგნი და მამასთან ერთად ადამიანებს ბედს განუსაზღვრავს. ქართველთა 64 ღვთისშვილთა შორის კვირია პირველია, როგორც უზენაესი ღვთაება. დღეს საქართველოს ქრისტიანულ სივრცეში კვირიას რელიგიური ღღესასწაულია „კვირაცხოვლობა“ – აღდგომის მომდევნო კვირა დღე. ქართველები მას ქართულ მითოლოგიაში „კვირია კარავიანი“-ს სახელით მოიხსენიებენ.



შუმერი (ძ.წ. 3400 წ.)

კვირია კარავიანს „ხმელთ მოურავსაც“ უწოდებენ. ის იგივე ბუქნა ბაადურია, რომელიც ქართულ მითოლოგიაში წარმოჩინდება როგორც „ დევთა და ქაჯთა“ რისხვა, შუამავალია უზენაეს ღმერთსა და ხალხს შორის, ითვლება ნაყოფიერების ღვთაებად. კვირიამ უნდა შეუნდოს მიცვალებულებს, ხოლო ცოცხლებს დღეგრძელობა მიანიჭოს.

ქართველთა რწმენა – წარმოდგენებით 64 ღვთისშვილი, რომლებიც არიან მარადიულნი, უკვდავნი და ბედის ბედაურის მფლობელები, არიან ასევე უზენაესი მამა ღმერთის 64 სახე-გამოვლინება და ცხოვრობენ ღმერთის მიერ თავის მსგავსად და ხატად შექმნილ კაცთა მოდგმის მხოლოდ ქართული გენის ადამიანთა სხეულებში.

შუმერთა ერთ-ერთ ქვის ბეჭედზე (ძვ.წ. 3400წ.) ბრიტანეთის მუზეუმი) ასახული კოსმიური პროცესი მთლიანად ქართული მითოლოგიდა-

ნაა აღებული და წარმოაჩენს სამყაროში ქართველთა ოთხი ხეთისშვილის – კოპალა, ბუქნა ბაადური, თერგვაული და იახსარის მოღვაწეობის ზროში გაწერილ მითოლოგიურ გენეტიკურ კოსმიურ პროცესს, რაც ზედმიწევნით ზუსტად ემთხვევა ქართულ მითოლოგიას. ხოლო ამ ქვის ბეჭედზე ასახული კოსმიური პროცესი საერთოდ არ ემთხვევა დღემდე მოსულ შუმერთა მითებში წარმოდგენილ კოსმიურ პროცესს და კარგად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. (ნახეთ: ნ.ხ. – ქართველები შუმერთა წინაპრები, 2013წ.).

შუმერთა ქვის ბეჭედზე თევზის ზოდიაქოს დასაწყისში გამოსახული II ღმერთკაცი – შუამდინარეთის ხალხთა „სინ“-ი იგივე ქრისტეა და ქართველთა კვირია – ბუქნა ბაადურია (ჩაბუქნული), ნათლობის ემბაზში ნახევრად წყალშია და გამოსახულია მხოლოდ წელს ზემოთ, გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი, თავზე ადგას ქალღმერთი ანგელოზის სახით, ერთ მხარეზე – მხარზე ხარ-ირემი აქვს – „ოქროს ხბო“, ხოლო მეორეზე – ხე. იგი წყლის სტიქიის გაცხადებაა (სამყაროს ოთხი საწყისიდან ერთ-ერთი). ეს ყველაფერი ემთხვევა ქართულ მითოლოგიას – ქართველთა ბუქნა ბაადური პირველია ხეთისშვილთა შორის, წყლის ბერია, რომლის სალოცავი საქართველოში „სანე“-ს მთაზეა.

შუმერთა ქვის ბეჭედზე ნათლობის ემბაზში გამოსახული II ღმერთკაცი „სინ“-ი, რომელსაც გულზე ჰკიდია დიდი ჯვარი, წარმოჩინდება თევზის ზოდიაქოს ორიათასწლეულის დასაწყისში, რაც ჩვენი დროით ემთხვევა ახალი წელთაღრიცხვის ნულოვან წელს. ეს კი ადასტურებს, რომ შუმერებმა ჯერ კიდევ 3400 წლით ადრე იწინასწარმეტყველეს ქრისტეს ამ ქვეყანაზე მეორედ მოსვლის დრო – თევზის ზოდიაქოს დასაწყისი. ეს საკითხი ქართულ მითოლოგიაშიც ნათლადაა წარმოჩენილი ( ეს სხვა საუბრის თემაა).

შუმერები მთვარის ღმერთს სინს ასე მიმართავდნენ:

„მეფევ, მაღლა ცაში მთუწვდომელო,

მეფევ, სიწრფელის მოყვარულო,

სინ სიწრფელის მოყვარულო,

სინ სიწრფელის მოყვარულო“.

მაშასადამე, შუმერები „სინ“-ს „წრფელის“ ანუ „გულქართლის და

„გულმართალის“ ეპითეტებით ამკობდნენ, რასაც უკავშირდება ქართული სიტყვები „სიმართლე“, „სასამართლო“, „მართლმსაჯულება“. ამასთანაა დაკავშირებული სიტყვა „მართლმადიდებლობა“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სიტყვები „ქართველი“ და „საქართველო“ უფლის სახელთანაა დაკავშირებული. შუმერთა „სინ“-ი იგივე ქართველთა ბუქნა ბაადური – კვირიაა.

ქართველებს ქართულ ენაში გვაქვს სიტყვები „სინდისი“, „სინდისიერი ადამიანი“ და „უსინდისო“, რაც „უღმერთოს“ ნიშნავს. მაშასადამე, შუმერთა „სინ“-ის აღქმა და თაყვანისცემა ქართველებს ოდითგანვე გვქონდა, რასაც ადასტურებს ქართული ენა და ქართული მოთოლოგია.

კვირია – კვირინი – კვისინის აღქმა ჰქონდათ ასევე აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნების ხალხებს. ბერძნები უფლის სახელს დღემდე „კვირიელეისონ“-ით მოიხსენიებენ, რაც ნიშნავს „უფალო შეგვიწყალენ“. ქართველები კვირის პირველ დღეს „კვირას“ ანუ „საუფლო“ დღეს ვუწოდებთ, ხოლო ბერძნულად „კვირიაკე“. ქრისტე – კვირიას ქართველები თავით ქვემოთ მიმართული თევზის სიმბოლოთი გამოსახავდნენ, რაც დაკავშირებულია ქრისტეს პირველ მოსვლასთან და აისახება ბიბლიურ კაბალაში.

ზემოთ განხილული საკითხები ადასტურებს, რომ სამყაროს პირველ ადამიანებს ჯერ კიდევ შორეული წარმართობის პერიოდში ჰქონდათ სამყაროს შემოქმედი წმინდა სამების აღქმა და თაყვანისცემა. ეს ხალხი არის არიული თეთრი რაის ხალხი – ქართველები, რომლებიც ყოველთვის კავკასიაში – საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობდნენ და არსაიდან მოსული არ არიან. ამას ადასტურებს გარეჯში კლდეებზე ძველი ქვის ხანის 2,5 მილიონი წლის წარმართული პერიოდის წმინდა სამების სიმბოლური გამოსახულებები: გიგანტური თევზი თავით ქვემოთ – ქრისტეს სიმბოლო, მასზე გამოსახულია ორი ლიდი ქართული ასომთაგრული ასო-ნიშანი – მამა ღმერთის სიმბოლო, ღრაკონზე დადგმული კოშკი (ჩიჩიტური) – სამყაროს დედის და ღვთისმშობლის სიმბოლო.

**სამყაროს შემოქმედი წმინდა სამების სამშობლო და სამკვიდრებელი**

ქვეყანა დედამიწაზე კავებასთა და საქართველოა. წმინდა სამების ღმერ-  
თები ქართული გენის არიან. მათ თავის მსგავსად და ხატად შექმნეს  
პირველი ადამიანები – ქართველები.

ქართველთა გენის პირველსაწყისი წინაპარი თვით მამა ღმერთია.  
იგი აზრებით ქართულ ენაზე მართავს და განაცემს სამდაროს.

ქრისტიანობა – მართლმადიდებლობა კაცობრიობის პირველსაწ-  
ყისი, მარადიული და საყოველთაო რელიგიაა.

უფლის ანგელოზი გვამცნობს: „ქართველთა წინაპრები არიან  
იბერთა ძლიერი შტო, რომლებიც უფლის ჩანაფიქრის მიხედვით მეო-  
რედ ქმნიან მომავალ მშვენიერ ქალაქ იერუსალიმს“.

**პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური ცოდნა  
მრავალგანზოგილების სამყაროს მოცეობის შესახებ  
მითოლოგია, ეთნოგრაფია,  
არაეოლოგიურ სიმპოლიკაზი**

ნაზი ხანიაშვილი

## გამოქვეყნებული წიგნები

1. შესხვად ქართველთად და ქართველთა ენისად. იოვახე-ზოსიმი. 2004 წ. და 2010 წ.
2. შეიცავი თავი შენ და შეიცნობ სამყაროს. 2006 წ. (გეგმა-კონსპექტი)
3. ოქროს სამისი – ორი მზის საიდუმლო. 2008 წ. და 2013 წ. ქარ-თულ, რუსულ, (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
4. სახელდებითისა წიგნთას პირველთაითისადმნეს: ჯუართა კუართთა, მცხეთადმნეს სუატისა ცხოველისსას იგერიელთა ძღროითთისსსდგანს. ამინ, უფლის ცყალო-პანი. 2010 წ.
5. ქართული განი იგარიბის ცივილიზაციათა სათავეებთან. 2012 წ. წიგნი ეძღვნება ქართველთა მეცე ფარნევაზის მეფობის 4300 წლისთავს.
6. საქართველო – შუალედთა უფლის მოინდა გულით არჩეული დიღებულ ცესთა ქვეყანა. 2013 წ.
7. ქართული არაენი სომხეთის შექმნილი არ შეიძლება იყოს. 2013 წ. ქართულ, რუსულ, ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
8. ქართველები შუალედთა წინაპრები. 2013 წ. ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე.
9. ქართველი ერის გეოეტიკური წარმომავლობა. 2014 წ. ქარ-

- თულ, რუსულ, (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
10. მითოლოგია და არქეოლოგია გლობალური დათვობის შესახებ. 2014 წ. ქართულ, რუსულ, (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
  11. შავი ხვრელი – პარალელურ სამყაროში გასასვლელი სარკმელი. 2015 წ. ქართულ, რუსულ, (რეზიუმე), ინგლისურ (რეზიუმე) ენებზე.
  12. ვეფერს-ტყაოსანი და გაფაფიხიპა. 2016 წ.
  13. ქართული ცელთაღისტევები: ქართ. ადამს აქათ 8000 წ., დასაქამითგან 7600 წ. ქორონიკონით 7600 წ., 2018 წ.
  14. კოლეგიი ისტორიული ასურათია და არა საქართველო. 2020 წ.
  15. ნარმართული ერისტიანობის პვალი საქართველოში. 2020 წ.

## სარჩევი:

1.	ბიბლიის ძველი აღთქმის ქართული გენეტიკური საწყისები. ....	3
2.	ორ მილიონ წელზე ადრეული წარმართული ქრისტიანობის კვალი საქართველოში.....	16
3.	ქრისტეს პირველად და მეორედ მოსვლა.....	25
4.	ქართული ანბანი წარმართული ქრისტიანობის ძეგლებზე.....	38
5.	სამყაროს შემოქმედი წმინდა სამების სამშობლო კავკასია და საქართველოა.....	53

**ნაზი ხანიაშვილი**

**ტელ: 236-10-17**

**მობ: 558-25-52-97**

ISBN 978-9941-8-2309-1



9 789941 823091